

ფინანსური წიგნიერების გამკვლევი


ახალგაზრდების გაძლიერებისთვის



Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union



FINANCIAL LITERACY
EMPOWERING THE YOUTH



ავტორები: Ibon Aranburu, Olaia Larruskain, Beatriz Plaza, Marisol Esteban, Paloma Cantero, Tamar Jangulashvili, Katarzyna Szmít and Foteini Gatomati.

პროექტი: ახალგაზრდების ცოდნის გადრმავება ფინანსურ ნიგნიერებაში

პროექტის ნომერი: 2021-1-BE05-KA220-YOU-000028483


გრანტის ხელშეკრულება: 2021-xxxx/001-001

ნიგნში წარმოდგენილ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ავტორები და ევროკავშირი არ არის მასზე პასუხისმგებელი.

ISBN:

ბრიუსელი: 2022





1. შესავალი5

- 1.1 რატომ ფინანსური წიგნიერება..... 6
- 1.2 რატომ გზამკვლევი ფინანსურ წიგნიერებაში.....7
- 1.3 ფინანსური წიგნიერების გზამკვლევის მიდგომები და სტრუქტურა7

2. ძირითადი ცნებები.....8

- 2.1 ფულის განმარტება და რა კავშირი აქვს მას ჩვენთან9
- 2.2 კარგი ფინანსური გადაწყვეტილების მიღება და ცოდნა გადაწყვეტილების მისაღებად.....10
- 2.3 მენარმეობა13

3. პირადი ფინანსური უწყისი14

- 3.1 აღწერა.....15
- 3.2 ძირითადი ელემენტები15
 - 3.2.1 საბალანსო უწყისი.....15
 - 3.2.2 შემოსავლის ანგარიშგება16
 - 3.2.3 ხარჯები16
- 3.3 გამოყენება & მაგალითები17
- 3.4 პრაქტიკები & რისკები18
- 3.5 კითხვები & რეფლექსია.....18

4. ბიუჯეტირება19

- 4.1 აღწერა20
- 4.2 ძირითადი ელემენტები20
 - 4.2.1 დანაზოგები20
 - 4.2.2 ხარჯების და დანაზოგების ბალანსი..... 21
 - 4.2.3 ბიუჯეტირების მეთოდები22
- 4.3 გამოყენება & მაგალითები22
- 4.4 კარგი პრაქტიკები & რისკები24
- 4.5 კითხვები & რეფლექსიები24

5. დაფინანსება25

- 5.1 აღწერა26
- 5.2 ძირითადი ელემენტები.....26
 - 5.2.1 კარგი ვალი vs ცუდი ვალი.....26
 - 5.2.2 განსხვავება კრედიტსა და სესხს შორის.....26
 - 5.2.3 რამდენად მუშაობს იპოთეკა?27
 - 5.2.4 ლიზინგი & გაქირავება28
 - 5.2.5 სახალხო დაფინანსება (ქრადფანდინგი)28
- 5.3 გამოყენება & მაგალითები29
- 5.4 კარგი პრაქტიკები & რისკები30
- 5.5 კითხვები & რეფლექციები.....30



სარჩევნი



6. ინვესტიციები31

6.1 აღწერა.....32
 6.2 ძირითადი ელემენტები32
 6.2.1 აქტივები32
 6.2.2 ფინანსური პროდუქტები32
 6.2.3 რა კავშირია მომგებიანობასა და რისკს შორის?33
 6.2.4 საფონდო ბირჟა33
 6.2.5 ბიზნესები33
 6.2.6 კრიპტოვალუტები34
 6.3 გამოყენება & მაგალითები36
 6.4 კარგი პრაქტიკები & რისკები37
 6.5 კითხვები & რეფლექსიები37

8. მეწარმეობა 46

8.1 აღწერა.....47
 8.2 ძირითადი ელემენტები47
 8.2.1 მეწარმე.....47
 8.2.2 ბიზნეს გეგმა48
 8.2.3 ბიზნესის შესაძლებლობები48
 8.2.4 ბიზნესის სამართლებრივი ფორმები48
 8.2.5 სტარტაპის დაფინანსება49
 8.2.6 ბიზნეს ფიჩი51
 8.3 გამოყენება & მაგალითები.....51
 8.4 Good პრაქტიკები & რისკები53
 8.5 კითხვები & რეფლექსიები55


7. დაბეგვრა38

7.1 აღწერა39
 7.2 ძირითადი ელემენტები40
 7.2.1 ძირითადი გადასახედები40
 7.2.2 პირადი საშემოსავლო გადასახადი.....40
 7.2.3 დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ)41
 7.2.4 კორპორატიული გადასახადი41
 7.3 გამოყენება & მაგალითები42
 7.4 კარგი პრაქტიკები & რისკები44
 7.5 კითხვები & რეფლექსიები45

9. რესურსები.....57

რეფერენსები57
 საინტერესო ვებ-გვერდები58

10. დანართი 1:
 ძირითადი ფინანსური ტერმინები60



სარჩევნი



1

შესავალი

1. შესავალი

ტსახელმძღვანელოს ავტორები აცხადებენ, რომ ამ პუბლიკაციის დიზაინი და შინაარსი შემუშავებულია Erasmus+-ის თანადაფინანსებული პროექტის 2021-1-BE05-KA220-YOU-000028483 ფარგლებში „ახალგაზრდების გაძლიერება ფინანსური წიგნიერების მეშვეობით“.

გვსურს აღვნიშნოთ ამ პროექტის მონაწილე ორგანიზაციების მნიშვნელოვანი წვლილი სახელმძღვანელოს შემუშავებაში, კერძოდ ბასკეთის ქვეყნის უნივერსიტეტი (ესპანეთი), Youth-ProAktiv (ბელგია), საბერძნეთის ღია უნივერსიტეტი (საბერძნეთი), სოციალური ინოვაციების მიერ და მენარმეობის ცენტრი SiNC (საქართველო) და Fundacja Regeneracja (პოლონეთი).

სახელმძღვანელოსთვის კონცეფციების იდენტიფიკაციისა და პრიორიტეტიზაციის განსაზღვრის მიზნით შემუშავდა კითხვარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 115 რესპონდენტმა, ჩატარდა 3 ფოკუს ჯგუფი, სადაც 59 ახალგაზრდული მუშაკის მიერ შეფასდა სახელმძღვანელოს პირველადი ვერსია და გათვალისწინებულ იქნა მათი რეკომენდაციები სახელმძღვანელოს გაუმჯობესების მიზნით. მადლობას ვუხდით ყველა მათგანს ფასდაუდებელი მონაწილეობისა და დახმარებისთვის.

1. რატომ ფინანსური წიგნიერება

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ამზადებს PISA ანგარიშს, ზომავს მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებას ხუთი კონტინენტის მრავალი ქვეყნიდან. ანგარიში აფასებს წაკითხულის გააზრებას, მათემატიკისა და სამეცნიერო ცოდნას, და 2012 წლიდან ფინანსურ ცოდნას ან წიგნიერებას.

ევროკავშირის ქვეყნებში ფინანსური წიგნიერების ქულებსა და უთანასწორობას შორის აშკარა უარყოფითი კავშირია. ქვეყნებში, სადაც ფინანსური წიგნიერების კუთხით უკეთესი შედეგებია ასევე აქვთ დაბალი უთანასწორობა. ამიტომ, ფინანსური წიგნიერება არის საშუალება ეკონომიკური ხელმისაწვდომობის, ზრდისა და გაძლიერების ხელშეწყობისთვის. ნებისმიერი ინდივიდისთვის მნიშვნელოვანია იცოდეს, როგორ მიიღოს სწორი ფინანსური გადაწყვეტილებები, როგორც მათი პირადი ფინანსების მართვისთვის, ასევე, მაგალითად, ბიზნესის წამოწყებისთვის. კარგი ფინანსური განათლება უზრუნველყოფს უსაფრთხოებას და ხელს უწყობს უკეთესი მომავლის შექმნას, მეორე მხრივ, ფინანსური ცოდნის ნაკლებობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს არასწორი გადაწყვეტილებების მიღებაზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს უფრო დიდი ეკონომიკური დაუცველობა.

OECD-ის ანგარიშებში 25 წლამდე ასაკის ადამიანებს ყველაზე დაბალი ქულები აქვთ ფინანსურ წიგნიერებაში, ასევე დაბალი ქულები აქვთ დაბალი შემოსავლის მქონე ჯგუფებს, ქალებსა და დაბალი განათლების მქონე ახალგაზრდებს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ აუცილებელია და დადებითი გავლენის მომტანია მთელი საზოგადოებისთვის, მნიშვნელოვანია ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების ფინანსური წიგნიერების ამაღლება.



ფინანსური კონცეფციების ცოდნა და მათი გამოყენება გააძლიერებს ახალგაზრდულ მუშაკებს, რომლებსაც სურთ წვლილი შეიტანონ მოწყვლადი ახალგაზრდების განათლებასა და ჩართულობაში, რომლებთანაც მუშაობენ, რათა მხარი დაუჭირონ მათ სოციალურ და შრომით ინკლუზიას, როგორც გადამზადებულ თანამშრომლებს, ასევე თვითდასაქმებულებს.

ახალგაზრდული მუშაკების საბაზისო ფინანსური წიგნიერების გაუმჯობესება უზრუნველყოფს მათი ამ ცოდნის დანერგვას არაფორმალურ საგანმანათლებლო პროცესებში და პროგრამებში, რომლებსაც ისინი ავითარებენ იმ მოწყვლად ახალგაზრდებთან, რომლებთანაც მუშაობენ, რაც ხელს შეუწყობს მათ სოციალურ და შრომის ბაზარზე ჩართვასა და სამენარმეო უნარების განვითარებას საბაზისო ფინანსური წიგნიერების კომპეტენციების გაუმჯობესებით.



2. რატომ გზამკვლევი ფინანსური წიგნიერების შესახებ

ფინანსური გადაწყვეტილებები, როგორცაა დაზოგვა, ხარჯვა, სესხის აღება და ინვესტიციის გაკეთება ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია, რაც მოითხოვს ამ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების ცოდნის მუდმივად გაღრმავებას და განვითარებას.

იმის გათვალისწინებით, რომ ყოველი მესამე ზრდასრული ვერ პასუხობს საბაზისო ფინანსურ კითხვებს, შემაშფოთებელია იმის წარმოდგენა, თუ როგორ რეაგირებენ ეს ადამიანები, როდესაც დგებიან რთული არჩევანის წინაშე, როგორცაა იპოთეკური ხელშეკრულების გაფორმება ან ინვესტიცია საპენსიო გეგმაში. ამავდროულად, ფინანსური სამყარო თანდათან უფრო რთულდება, რადგან მომხმარებლებს სთავაზობენ უამრავ ფინანსურ პროდუქტს, რომელიც შეიცავს სხვადასხვა დონის რისკებს და ანაზღაურებებს.

ევროპაში საშუალოდ ზრდასრულთა მხოლოდ 52 პროცენტია, რომლებსაც აქვთ ფინანსური განათლება, ხოლო ახალგაზრდებში ფინანსური წიგნიერების დონე საკმაოდ დაბალია. 2018 წელს ჩატარებული PISA კვლევის მიხედვით, რომელიც ეხებოდა ფინანსური წიგნიერების დონის შეფასებას, ფინანსური წიგნიერების მაჩვენებლის სხვაობა OECD-ის ყველაზე მაღალი და ყველაზე დაბალი მაჩვენებლების ქვეყნებს/ეკონომიკებს შორის 97 ქულა იყო, ხოლო სხვაობა ყველაზე მაღალი და ყველაზე დაბალი მაჩვენებლების მქონე ქვეყნებს/ეკონომიკებს შორის იყო 60%-ზე მეტი (159 ქულა), რაც აჩვენებს დიდ უთანასწორობას და ფართო გაუნათლებლობას, რაც ძირითადად, დაკავშირებულია სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსთან.

ამ კონტექსტში, ფინანსური წიგნიერების სახელმძღვანელოს ძირითადი მიზნებია:

1. ძირითადი ფინანსური ცნებების მარტივად გადმოცემა, რომლებიც საჭიროა საზოგადოებაში ფინანსური განათლების დონის ასამაღლებლად, რომ გვყავდეს ფინანსურად დამოუკიდებელი და ძლიერი მოქალაქეები;
2. წვლილი შეიტანოს ახალგაზრდა მუშაკების ფინანსური წიგნიერების ამაღლებაში, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ მოწყვლად ახალგაზრდებთან, განსაკუთრებით მათ, ვინც არ ფლობენ საბაზისო ფინანსურ ცოდნას და კომპეტენციებს, რაც მათ სჭირდებათ, რათა უკეთ გამოიყენონ ცოდნა ყოველდღიურ პრაქტიკებსა და პროგრამებში;
3. მარტივი და გასაგები ენით მიაწოდოს კონცეპტუალური გზამკვლევი ახალგაზრდა მუშაკებს, რომლებიც მუშაობენ მოწყვლად ახალგაზრდებთან, რათა კონცეფციები გასაგები იყოს საბაზისო განათლების მქონე მონაწილეებისთვის;
4. სოციალური და შრომის ბაზარზე ინკლუზიის გაზრდა და მოწყვლადი ახალგაზრდების სამენარმეო უნარების განვითარება ძირითადი და საბაზისო ფინანსური ცოდნის განვითარებით.

გზამკვლევი შემუშავებულია ორი ძირითადი სამიზნე ჯგუფისთვის:

ა) ფართო საზოგადოებისთვის, გზამკვლევი მოცემულია ძირითადი ფინანსური კონცეფციების ადვილად გასაგებად, რათა ხელი შეუწყოს მოქალაქეების ფინანსურ დამოუკიდებლობას;


ბ) ახალგაზრდული მუშაკები.


1.1. ფინანსური წიგნიერების გზამკვლევის მიდგომა და სტრუქტურა

გზამკვლევის დიზაინი საშუალებას იძლევა, რომ კონტენტი უფრო მიმზიდველი იყოს და მეტი ადამიანის დაინტერესება გამოიწვიოს. მას აქვს განსაზღვრული ცნებების ძლიერი პრაქტიკული მიდგომა, რომელიც ხაზს უსვამს მათ გამოყენებას და მაგალითებს, კარგ პრაქტიკებს და რისკებს, რათა ხელი შეუწყოს პოზიტიური და სწორი ფინანსურ არჩევანის გაკეთებას.

ფორმატი, ენა და სტრუქტურა ეფუძნება:

1. მოსწავლეზე ორიენტირებულ პედაგოგიურ და დიდაქტიკური მიდგომებს;
2. ადამიანებზე ორიენტირებული დიზაინის (DCP) მეთოდოლოგიას, რომელიც აყენებს ადამიანს მთელი პროცესის ცენტრში. სახელმძღვანელოს აქვს ჰომოგენური სტრუქტურა ყველა კონცეფციისთვის:
- ა) აღწერა: მთავარი ფინანსური ცნებების ძირითადი განმარტება.
- ბ) თითოეული ცნების ძირითადი ელემენტები: მთავარი ფინანსური ცნებების ძირითადი ასპექტები, რაც ხელს უწყობს მათი უფრო დეტალურ პედაგოგიურ გამოყენებას;
- გ) გამოყენება და მაგალითები: რეალურ ცხოვრებაში გამოყენება და მაგალითებზე დაფუძნებული რეკომენდაციები.
- დ) კარგი პრაქტიკები & რისკები: კარგი ფინანსური გადაწყვეტილებები და რისკები თითოეულ შემთხვევაში.
- ე) კითხვები და რეფლექსია თითოეული ცნებისთვის, რათა ხელი შეუწყოს კრიტიკულ აზროვნებას, ასევე ინდივიდუალურ და ჯგუფურ რეფლექსიას დიდაქტიკური მიდგომებით.





2

ზოგიერთი ძირითადი ცნება

2.1. ფული და ჩვენი ურთიერთობა ფულთან

ფული არის ნებისმიერი სიკეთე, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ გადასახადების გასაკეთებლად, რაც გჭირდებათ. მას აქვს ეკონომიკური აგენტების მიერ მიღებული ღირებულება და წარმოადგენს საზომს ფასების დასადგენად საბაზრო ღირებულების მიხედვით.

თავდაპირველად, ოქრო და ვერცხლი ურთიერთშემცვლელ საქონელს წარმოადგენდა, როგორც საერთო სიკეთეს, რომელიც გამოყენებული იყო ტრანზაქციების განსახორციელებლად, რადგან ბარტერს უფრო მეტი სირთულეები მოყვება: ძნელია იპოვოთ ორი პროდუქტი, რომელიც ჩვენ მიგვაჩნია, რომ ზუსტად იგივე ღირს.

სამი ტიპის ფული:

-სასაქონლო ფული: ფული, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც საქონელი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას გადახდებისთვის. ამ საქონელს აქვს ისეთივე ღირებულება, როგორც ფულადი ერთეული და როგორც საქონელი, რომელიც შეიძლება იყოს წარმოდგენილი როგორც მარილი, ოქრო, ვერცხლი, ძვირფასი ქვები... სხვადასხვა საქონელი სხვადასხვა კულტურისა და ისტორიული პერიოდის მიხედვით. სასაქონლო ფულს აქვს სპეციფიკური თვისებები: ისინი უნდა იყოს გამძლე, ტრანსფორმირებადი, გასაყოფი, ერთგვაროვანი და შეზღუდული მიწოდებით.

-საბანკო ან ფიდუციური ფული: ფიდუციური ფული - ქალაქისა და ვალუტის ფული, რომელსაც ჩვენ ჩვეულებრივ ვიყენებთ - არ არის მხარდაჭერილი სხვა აქტივით. მისი ღირებულება ემყარება მხოლოდ ამ ფულზე არსებულ ნდობას. ქალაქის ფულის და მონეტების არსებითი ღირებულება ნულია, მაგრამ მისი ღირებულება გარანტირებულია ა) ინსტიტუტების მიერ, რომლებიც გამოსცემენ მათ, ბ) ამ ფულის მიღებას ეკონომიკური ორგანოების მიერ, როგორც კანონიერი საშუალება და გ) ემყარება ნდობას, რომ ის იქნება მიღებულისხვა ადამიანების მიერ როგორც გადახდის საშუალება;

ფიდუციურ ფულს ქმნიან ბანკები და ფინანსური ინსტიტუტები, კლიენტებთან ჩვეული საკრედიტო ოპერაციების განხორციელებისას, ამიტომ იგი ეფუძნება საბანკო დეპოზიტზე ჩანაწერებს.

ამდენად, ბანკს შეუძლია კლიენტზე გასცეს სესხი ამ კლიენტის ანგარიშზე ნასესხები თანხის ჩანაწერით. ბანკს აქვს კაპიტალი სესხის გასაცემად სხვა ადამიანების დეპოზიტებიდან და შეუძლია სესხის გაცემა, თუ იგი ინარჩუნებს მინიმალურ თანხას სესხის გაცემის გარეშე (ნაღდი ფულის კოეფიციენტი), რათა უზრუნველყოს საჭირო ლიკვიდურობა კლიენტების მოთხოვნისთვის.

ასე იქმნება საბანკო ფული, რადგან ის ითვალისწინებს კლიენტების ჩანაწერებს, რომლებიც დეპოზიტებს აკეთებენ და მათ, ვინც სესხს ითხოვს. ბანკის მიერ ამ ანოტაციების საშუალებით შექმნილი ფული არის ის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ საბანკო ფულს.

ელექტრონული ფული: ეს არის ფული, რომელიც ხელმისაწვდომია მისი მომხმარებლებისთვის ელექტრონული გზით, შესაბამისად, ეს არ არის ფიზიკური ფული. ეს არის ელექტრონული სახით შენახული ფული, რომელსაც აქვს კავშირი ფიდუციურ ვალუტასთან, რომელიც მხარს უჭერს მას, ამიტომ სახსრები გამოსახულია ამ ვალუტის ერთეულებში. ზოგიერთი მაგალითი შეიძლება იყოს საფულის ბარათები, საკრედიტო და სადებეტო ბარათები, PayPal. ბევრი ადამიანი ასევე იყენებს სადებეტო ბარათს, რომელიც თან ერთვის მათ მიმდინარე ანგარიშს. სადებეტო ბარათის გამოყენება ნიშნავს, რომ მისი საშუალებით გაკეთებული ყოველი შესყიდვა არ ხდება თქვენი ანგარიშიდან. თუ თქვენ დახარჯავთ იმაზე მეტს, ვიდრე გაქვთ, თქვენი შესყიდვა შეიძლება უარყოფილი იყოს ან დაგერიცხოს საკომისიო.



ელექტრონული ფული არ არის დამოუკიდებელი ვალუტა, მას ზედამხედველობს იგივე ცენტრალური ორგანო, რომელიც აკონტროლებს ეროვნულ ვალუტას, რომელიც მხარს უჭერს მას. ვირტუალურ ვალუტას, როგორცაა ბიტკოინი და სხვა, არ გააჩნიათ ფიდუციური ვალუტა, როგორც ანგარიშის ერთეული, არამედ ის არის მისი ალტერნატივა. ბიტკოინი და მსგავსი ვალუტები არის ციფრული ფული, როგორც ელექტრონული ფული, მაგრამ ის არის ინდივიდუალური, ანონიმური და დეცენტრალიზებული ვალუტა, რომელსაც არ უჭერს მხარს რომელიმე ოფიციალური ფინანსური ინსტიტუტი ან კონკრეტული ქვეყანა ან სახელმწიფო.



რა გვაკავშირებს ფულთან

მნიშვნელოვანია ფულთანობიექტური ურთიერთობის ქონა, რაც ეფუძნება ცოდნას და მშვიდი და გააზრებული გადაწყვეტილების მიღებას. ეს მიდგომა თავიდან აგვარიდებს ზედმეტ ემოციებს და სტრესს ან იგნორირებას გაუკეთებს ისეთ ფინანსურ გადაწყვეტილებებს, როგორცაა იმპულსური შესყიდვები, უკონტროლო ხარჯები ან ფინანსური გეგმები, რომლებიც დაკავშირებულია იღბლიან დასვენებებთან. ზოგადი რეკომენდაციაა, რომ ყოველთვის იცხოვროთ თქვენი შესაძლებლობების ფარგლებში და ნუ ეცდებით გაუტოლდეთ თქვენს თანამშრომლებს, მეზობლებს და თანატოლებს.

თუ ფულს განვიხილავთ, როგორც საშუალებას, რომ შევქმნათ გონივრული საფუძველი ჩვენი ცხოვრებისა და ჩვენი მომავლისთვის და გვექნება საბაზისო ფინანსური ცოდნა მისი მართვისთვის, უფრო გავვიადვილებთ, რომ ჩამოვაცალიბოთ მიზნები თუ როგორ დავზოგოთ, ვაკონტროლოთ და კრეატიულად შევამციროთ ხარჯები და მოვახდინოთ გადაწყვეტილებებისა და პროდუქტების შედარება, რომ გავაკეთოთ უკეთესი არჩევანი ანმყოსა და მომავლისთვის.

2.2. ცოდნის და სწორი ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების მნიშვნელობა

ფინანსური ცოდნა ნიშნავს ცოდნას და უნარებს, რომლებიც საჭიროა მნიშვნელოვანი ფინანსური გადაწყვეტილებების მისაღებად. ყოველდღიურად ათასობით ადამიანი იღებს გადაწყვეტილებას თუ სად გახსნას საბანკო ანგარიშს, რომელი იპოთეკური სესხი აირჩიოს, როგორ დაზოგოს და სად მოახდინოს ინვესტიციები.

ფინანსებზე საუბრისას შეიძლება სასარგებლო იყოს მიზნებზე ფიქრი. რა გსურს? განსაზღვრეთ პრიორიტეტები, რა არის თქვენთვის მნიშვნელოვანია. ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, თუ როგორ შეგვიძლია ბიუჯეტირება ან დაზოგვა ჩვენი მიზნების მისაღწევად.

ფინანსური მიზნების ტიპები

ფინანსური მიზნები არის ის სამიზნეები, რომელთა მიზანია ინვესტირება და ფულის დაზოგვა. ეს მიზნები შეიძლება დაიყოს სამ სხვადასხვა ტიპად: მოკლევადიანი ფინანსური მიზნები, საშუალოვადიანი ფინანსური მიზნები და გრძელვადიანი ფინანსური მიზნები.

· მოკლევადიანი ფინანსური მიზნების შესრულებას ერთ წელზე ნაკლები დრო სჭირდება. მაგალითად, ახალი მობილური ტელეფონისთვის ფულის დაზოგვა შეიძლება იყოს მოკლევადიანი ფინანსური მიზანი.

· საშუალოვადიანი ფინანსური მიზნების შესრულებას შეიძლება დასჭირდეს 1 წლიდან 5 წლამდე. კოლეჯისთვის ფულის დაზოგვა ან ფულის დაზოგვა კარგი დასვენებისთვის შეიძლება იყოს საშუალოვადიანი ფინანსური მიზანი.

· გრძელვადიანი ფინანსური მიზნების განხორციელებას ჩვეულებრივ 5 წელზე მეტი სჭირდება. ეს მიზნები შეიძლება მოიცავდეს ფულის დაზოგვას თქვენი პირველი სახლის შესაძენად.

მოკლევადიანი მიზნების იდენტიფიცირება დაგეხმარებათ პრიორიტეტების განსაზღვრაში, თუმცა დაზოგავთ ფულს გრძელვადიანი მიზნებისთვის. თქვენი მოკლევადიანი მიზნები შეიძლება განსხვავდებოდეს ამისგან, მაგრამ მაინც შეგიძლიათ ჩამოწერთ ისინი და გაანალიზოთ რომელია თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი.

საშუალოვადიანი ფინანსური მიზნები შეიძლება იყოს უფრო ძვირი განსახორციელებლად, მაგრამ უფრო მეტი დრო გაქვთ რომ დაზოგოთ ფული მიზნის შესასრულებლად. თქვენი საშუალოვადიანი მიზნების შემცირება დაგეხმარებათ მეტი თანხის დაზოგვაში და იმ მიზნების შესრულებისთვის დახარჯვაში, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია თქვენთვის.

გრძელვადიანი მიზნების შესრულება შეიძლება იყოს ძალიან ძვირი, მაგრამ დრო თქვენს მხარესაა. თქვენი გრძელვადიანი მიზნების ადრეული იდენტიფიცირება და პრიორიტეტების განსაზღვრა დაგეხმარებათ გაიგოთ რამდენის დაზოგვა გჭირდებათ და რამდენი დრო გაქვთ მიზნის შესასრულებლად. ეს შეიძლება დაგეხმაროთ გახდეთ ფინანსურად უფრო უსაფრთხო მთელი თქვენი ცხოვრების განმავლობაში.



SMART მეთოდი მიზნების დასახვისთვის

ძნელია შეინარჩუნო მოტივაცია, როდესაც შემნახველ ანგარიშზე ინახავ ფულს და არ იცი კონკრეტულად რისთვის ზოგავ ფულს მომავალში. შესაძლოა, საჭიროა რომ თქვენ დაიწყოთ მიზნების დასახვა ფულის დაზოგვის მიზნით.

SMART მეთოდი - კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, რელევანტური და დროში განწერილი მეთოდი, რომელიც გამოიყენება მიზნების დასახვისთვის. მეთოდი შესაძლოა დაგეხმაროთ ფულის დაზოგვისთვის.

კონკრეტული

- პირველი, რაც უნდა გააკეთოთ SMART მიზნების დასახვისას არის ის რომ იყოთ კონკრეტული. ეს ნიშნავს ზუსტად ჩამოწერეთ ის, რისი მიღწევაც გსურთ.
- მაგალითი: მსურს დავზოგო 10,000€ სახლის განვადებით ყიდვისთვის.

გაზომვადი

- როგორ შეაფასებთ თქვენს წარმატებას ან პროგრესს? გამოიყენეთ ეს საბოლოო ერთეულის განსაზღვრისთვის რომ მიაღწიოთ წარმატებას
- მაგალითი: მსურს დავზოგო 10,000€ სახლის განვადებით ყიდვისთვის 10 წლის განმავლობაში.

მიღწევადი

- მიზნის მისაღწევად, საჭიროა მიზნები იყოს მიღწევადი
- მაგალითი: მე დავზოგავ ფულს განვადებით ყიდვით, თვეში 83,33 € გამოყოფით, ყოველთვიურად 10 წლის განმავლობაში.

რელევანტური

- შექმენით რეალისტური მიზნები თქვენი ასაკის, შემოსავლის დონისა და იმის მიხედვით, თუ რეალურად რა შეგიძლიათ გააკეთოთ თქვენი მიზნების მისაღწევად.
- მაგალითი: მე მხოლოდ კვირაში ერთხელ შევჭამ გარეთ ლანჩს, რომ დავზოგო დამატებით 1000 € წელიწადში.

დროში განწერილი

- განწერეთ კონკრეტული ვადები მიზნების მისაღწევად, რომ გეგმის მიხედვით იაროთ.
- მაგალითი: მე მინდა გავხდე სახლის მესაკუთრე 10 წელიწადში, ამიტომ დავზოგავ თვეში 90 € სახლის 10,000 € განვადებით ყიდვისთვის.



SMART ფინანსური მიზნების
მაგალითები:

SMART მიზნები 14-20 წლისთვის

- შექმენით საგანგებო ფონდი 6 თვის განმავლობაში;
- დაზოგეთ დიდი შენაძენისთვის, როგორცაა კომპიუტერი ან ახალი მობილური ტელეფონი 1 წლის განმავლობაში;
- დაზოგეთ თანხა მეგობრებთან ერთად სანაპიროზე მოგზაურობისთვის 6 თვის განმავლობაში.

SMART მიზნები 50-60 წლისთვის

- იცხოვრეთ თქვენი არსებული ბიუჯეტის ფარგლებში 1 წლის განმავლობაში, რათა დაზოგოთ 5000 ევრო.
- გადაიხადეთ საკრედიტო ბარათის ყველაზე დიდი ბალანსი 1 წლის განმავლობაში.
- განახორციელეთ საბოლოო იპოთეკური გადახდა სახლზე, სანამ 60 წლის გახდებით.
- საპენსიო სქემის დაგეგმვა.



SMART მიზნები 60+ წლისთვის

- პენსიაზე გასვლა 65 წლისთვის.
- იყიდეთ სანაპიროზე სახლი პენსიაზე გასვლის შემდეგ.
- გადაიხადეთ საკრედიტო ბარათის ყველა დავალიანება პენსიაზე გასვლისას.

SMART მიზნები 20 წლისთვის

- რეგულარულად შეიტანეთ თითოეული ხელფასიდან დაზოგილი თანხა დამსაქმებლის მიერ დაფინანსებულ საპენსიო სქემაში და ისარგებლეთ კომპანიის მიერ დანამატის ფუნქციით, თუ ეს შესაძლებელია.
- გამოყავით მინიმუმ 10,000 ევრო 10 წლის განმავლობაში პირველადი შენატანისთვის. ყოველთვიურად სრულად გადაიხადეთ საკრედიტო ბარათის გადასახადები.

SMART მიზნები 30-40 წლისთვის

- რეგულარულად შეიტანეთ წვლილი დამსაქმებლის მიერ დაფინანსებულ საპენსიო სქემაში და ისარგებლეთ კომპანიის მიერ დანამატის ფუნქციით, თუ ეს შესაძლებელია.
- დაზოგეთ ახალი მანქანის შესაძენად 2 წლის განმავლობაში.
- დაზოგეთ მინიმუმ 6 თვის შემოსავალი გადაუდებელი დანაზოგის ფონდისთვის.



2.3. მენარმეობა

ახალი ბიზნესის დაწყება შეიძლება იყოს საინტერესო და მომგებიანი, მაგრამ ასევე სავსეა გამოწვევებით. ვალდებულებების აღებით, მონდომებით, ოჯახის და მეგობრების ერთგულებით და მხარდაჭერით შეგიძლიათ თქვენი ბიზნესი იდეა რეალობად აქციოთ. მენარმეობას შეუძლია შექმნას კარიერული შესაძლებლობები, ასე რომ თქვენ შეგიძლიათ იმუშაოთ თქვენთვის. მიიღო გადაწყვეტილება გახდეთ თვითდასაქმებული მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

თვითდასაქმების უპირატესობებია:

- შენ ხარ საკუთარი თავის უფროსი
- გაქვს საკუთარი გადაწყვეტილებების მიღებისუნარი
- მოქნილობა სამუშაო დღეებსა და საათებში (სამუშაოსა და ცხოვრების ბალანსის დაცვა).
- თვითრეალიზება, თქვენი გამოცდილების, ნიჭისა და შესაძლებლობების სრულად გამოყენება.
- ფინანსური დამოუკიდებლობა.

საკუთარი ბიზნესის მართვის გამოწვევები მოიცავს:

- არა გარანტირებული, რეგულარული შემოსავალი
- ფინანსების მოძიება სტარტაპის ხარჯებისთვის
- ხანგრძლივი სამუშაო საათები ბიზნესის საჭიროებიდან გამომდინარე
- არ გაქვს შვებულების ან ავადმყოფობის ხარჯების ანაზღაურება და არსებობს რისკი, რომ გექნება საშუალოზე დაბალი ჰენსია
- საკუთარი საგადასახადო ანგარიშების გადახდის მოწესრიგება.

გზამკვლევეში თქვენ ნახავთ ბევრ სასარგებლო ინფორმაციას ახალი ბიზნესის დასაწყებად, განსაკუთრებით ფინანსური თვალსაზრისით (ანგარიშვალდებულების ცნებები, დაბეგვრა, ინვესტიციები და ა.შ.). გზამკვლევეში თქვენ ასევე აღმოაჩენთ მთელ თავს სტარტაპებისა და მენარმეობის შესახებ (თავი 8), სადაც მეტი ყურადღება გამახვილებულია სტარტაპ ინვესტორებზე, ბიზნეს გეგმის შემუშავებაზე და ა.შ.





3

პირადი
ფინანსური
ანგარიშგება

3.1 აღწერა

პირადი ფინანსური ანგარიშგება არის თქვენი პირადი ფინანსური მდგომარეობის აღწერა დროის კონკრეტულ მომენტში. მთლიანი ფინანსური სურათის მისაღებად საჭიროა ორი ინსტრუმენტი: საბალანსო უწყისი და შემოსავლის ანგარიშგება.

შემოსავლის ანგარიშსა და თქვენი პირადი ფინანსური ანგარიშგების ბალანსს შორის კავშირის დადგენით, თქვენ ხედავთ თუ რა მიმართულებით მოძრაობს თქვენი ფული და იღებს თუ არა ის მოგებას. ეს ურთიერთობა საკვანძოა იმისთვის, რომ გავიგოთ, ბალანსზე მყოფი აქტივები ქმნიან შემოსავალს თუ ხარჯებს.

ბიუჯეტის შექმნა და შენარჩუნება პირადი ფინანსური წარმატების აუცილებელი ელემენტია. ეს არის თქვენი ფინანსების საგზაო რუკა. ფინანსური ექსპერტების უმეტესობა ბიუჯეტირებას აკეთებს თქვენი შემოსავლისა და თქვენი ხარჯების დაბალანსებით.

პირველ რიგში, ჩამოთვალეთ თქვენი შემოსავალი (მთელი ფული, რომელსაც თქვენ გამოიმუშავებთ) და თქვენი ხარჯები (თითოეული გადასახადი, რომელსაც იხდით გარკვეული პერიოდის განმავლობაში). ბიუჯეტების უმეტესობა ანაწილებს თქვენს შემოსავალს და ხარჯებს ყოველთვიურად.

3.2. ძირითადი ელემენტები

3.2.1. საბალანსო უწყისი

საბალანსო უწყისს აქვს შემდეგი სტრუქტურა:

აქტივები	ვალდებულებები
უძრავი ქონება	წმინდა
მანქანები ფინანსური	ღირებულება
აქტივები	სესხები, კრედიტები
სხვა აქტივები (ელექტრონული მონეობილობები, ძვირფასეულობა, ნახატები...)	იპოთეკა მომწოდებლები
საბანკო ანგარიში & ნაღდი ფული	
მთლიანი აქტივები	მთლიანი ვალდებულებები

საბალანსო უწყისი შედგება ორი სვეტისაგან, აქტივებისა და ვალდებულებების ნაწილისგან, ორივე სვეტის ჯამი უნდა იყოს ერთი და იგივე. სხვაობა აქტივებსა და გარე ვალდებულებებს შორის არის წმინდა ღირებულება, თქვენი საკუთარი დაფინანსება. ამრიგად, აქტივების სვეტი ასახავს იმას, თუ რას ფლობთ, ხოლო ვალდებულებების სვეტი ასახავს ფინანსურ სტრუქტურას, დაფინანსებას და საგარეო ვალდებულებებს.





3.2.2 შემოსავლის ანგარიშგება

შემოსავლის ანგარიშგება აჩვენებს ორ მწკრივს, შემოსავლებსა და ხარჯებს, და სხვაობა იძლევა შედეგს. თუ შემოსავალი ხარჯებზე მეტია, ჩვენ გვექნება სარგებელი ან მოგება, თუ არა ზარალი.

შემოსავლები	
სახელფასო უწყისი ,სახელფასო ჩეკი	
გაყიდვები	
აქტივების შემოსავლები	
ხარჯები	
საკვები, ტანსაცმელი	
ელექტროენერგია,	
ტელეფონი, ტრანსპორტი	
განათლება	
გადასახადები	
შედეგი	

3.2.3. ხარჯები

არსებობს სამი სახის ხარჯი:

ფიქსირებული ხარჯები

- უფრო რთული სამართავია მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ დანაზოგის მიზანი, როგორც ფიქსირებული ხარჯი. ჩვენი წმინდა შემოსავლის მინიმუმ 10%.
- გადახედეთ დაზღვევას, სატელეფონო კონტრაქტს და ა.შ. შეადარეთ დაფარვა, დანამატები.
- აკონტროლეთ ოვერდრაფტების ან საკომისიოს ხარჯები ბანკომატის ოპერაციებისთვის.

მნიშვნელოვანი ცვლადი ხარჯები

- ჩვენ გვჭირდება ისინი რომ ვიცხოვროთ
- ჩვენ შეგვიძლია მათი მართვა
- შეაფასეთ რეალური საჭიროება და რამდენად კომფორტულია
- გადახედეთ მოხმარების ჩვევებს და მიიღეთ ზომები ზომიერებისთვის
- შეაფასეთ „ნამდვილად აუცილებელი“ სამოსი იმას, რომელიც არ არის...
- უნდა იყოს თუ არა კონკრეტული ბრენდი?
- პროგრამები წიგნების, უნიფორმების გასაზიარებლად/ხელახალი გამოყენებისთვის.

დისკრეციული ან ზედმეტი ხარჯები

- ჩვენ შეგვიძლია დავიწყოთ ხარჯვის კორექტირება ამ ტიპის ხარჯზე
- განიხილეთ მეორე სახლი, როგორც დასასვენებელი ადგილი. ყოველთვის შეგიძლიათ შეადაროთ რა ღირს წელიწადში ის და რა გიჯდებათ დასვენება სხვაგან.
- არის თანხები, რომელსაც არ იხდი ყოველთვის და საკუთარი თავისა და ოჯახის ზრუნვისთვის.
- უფროთხილდით კაფეებს, ბარებსა და გაზეთებს... ხარჯებს, როგორც წესი, ისტუმრებთ ნაღდი ფულით... ეს ის ხარჯებია, სადაც ჩვეულებრივ ბევრი ფული იხარჯება.



3.3 გამოყენება & მაგალითები

თუ თქვენ ცდილობთ აიღოთ ბიზნეს სესხი ბანკიდან ან დაფინანსება ინვესტორისგან, შეიძლება მოითხოვონ წარადგინოთ პირადი ფინანსური ანგარიშგება. ქვემოთ მოცემულია ყოველთვიური ფიქსირებული ხარჯებისა და ცვლადი ხარჯების მაგალითები:

ფიქსირებული ხარჯები	ცვლადი ხარჯები	გაითვალისწინეთ, რომ ზოგიერთი ხარჯი ორივე სვეტშია მოცემული, როგორცაა მაგ. გადაუდებელი დანაზოგი. ვინაიდან დანაზოგი შეიძლება განხორციელდეს პერიოდულად, როგორც ფიქსირებული ხარჯი, ან კონკრეტულ მომენტებში, როგორც ცვლადი ხარჯი ის ორივე სვეტშია მოცემული.
-იპოთეკა	- მიმდინარე ხარჯები	
-ავტო სესხი/იჯარა	- საკრედიტო ბარათები	
-ვალის კონსოლიდაცია/სხვა სესხები	- სხვა საკრედიტო ხაზი	
-სტუდენტური სესხები	- სასურსათო პროდუქტები	
-ქირა	- გარეთ კვება (რესტორანი,სწრაფი კვება,ლანჩები)	
-სახლის მესაკუთრეთა	- სასკოლო ლანჩები	
-ასოციაციის საფასური	-ბენზინი,ბაზი, პარკინგი	
-ელექტრო ენერჯია	-საბ.ტრანსპორტიავტობუსი,მატარებელ ი,მეტრო	
-ნავთობი და გაზი	- ჯანმრთელობის კლუბის წევრობა	
-წყალი	- ყოველდღიური ყავა/ნახემსება	
-ნაგვის შეგროვება	- სამრეცხაო/ქიმწმენდა	
-კანალიზაცია	- საყოფაცხოვრებო ნივთები	
-სატ,სერვისი და ინტერნეტი	-შინაური ცხოველების მოვლა და მარაგი	
-საკაბელო/სატელიტი/--	- ბავშვის ნივთები,ბავშვის მოვლის თანხები	
სტრიმინგი	- თის შეჭრა/მოვლა/მანიკური და ა.შ.	
-მანქანის დაზღვევა	- ტანსაცმელი	
-ჯანმრთელობის დაზღვევა(თუ ის არ იჭრება ხელფასიდან)	- გართობა(კინო,კონცერტი, სპორტული ღონისძიებები)	
-სამედიცინო/	- კლუბის გადასახადი	
სტომატოლოგიური გადახდები	- შემოწირულობა/საეკლესიო გადასახადი	
-საპენსიო დანაზოგი	- პროფესიული ლიცენზიები/საფასური	
-გადაუდებელი ფონდის	-აუცილებელი/გადაუდებელი დანაზოგი	
-დანაზოგი	-საპენსიო დანაზოგი	
-სხვა	-თამბაქო/ალკოჰოლი	
	- ჟურნალის გამოწერები და სხვა.	



3.4. კარგი პრაქტიკები & რისკები

კარგი პრაქტიკები

- გამოყავით თქვენი შემოსავლის 20%. 10% შემნახველი ანგარიშისთვის, გაუთვალისწინებელი საგანგებო სიტუაციებისთვის. კიდევ 10% საინვესტიციო ანგარიშისთვის, რათა შეისყიდოთ აქტივები, რომლებიც ყოველთვიურად უფრო და უფრო მეტ პასიურ შემოსავალს იძლევიან.
- გამოყავით პრიორიტეტები, ის რაც თქვენთვის მნიშვნელოვანია.
- ნებისმიერი ფული აქტივების სვეტში რჩება აქტივების სვეტში.
- საბალანსო უწყისის განახლება ყოველი წლის ბოლოს (წელიწადში ერთხელ მაინც) გააკეთეთ.

რისკები

- მეტი ხარჯის გაქვთ, ვიდრე შემოსავალი.
- ინფლაციის დროს, დანაზოგმა შეიძლება დაკარგოს ღირებულება. ინფლაცია ხდება მაშინ, როდესაც საქონლის ყიდვის ღირებულება დროთა განმავლობაში იზრდება. ეს ნიშნავს, რომ თქვენი მსყიდველობითი ძალა მცირდება. ასე რომ, თქვენ უნდა იშოვოთ ფული იგივე ტემპით, როგორც ინფლაციაა, რათა შეინარჩუნოთ თქვენი მსყიდველობითი ძალა და უფრო სწრაფად მიიღოთ მოგება.

3.5. კითხვები & რეფლექსია


როგორც სასწავლო და რეფლექსიის აქტივობა, შეგვიძლია შევექმნათ პერსონალური ყოველთვიური საბალანსო უწყისი და შემოსავლის ანგარიშგება, და ავსახოთ თითოეული ელემენტი, ისევე როგორც საბოლოო შედეგი.

- რა დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ და რა გავაუმჯობესოთ?
- დავუსვათ საკუთარ თავს რამდენიმე შეკითხვა რომ გავიაღვილოთ ანალიზი:
 - რამდენს ინახავთ?
 - თქვენი ფული მუშაობს თქვენთვის? როგორია თქვენი წლიური შემოსავალი აქტივებზე?
 - რამდენს იხდით გადასახადებში?
 - რამდენი მიდის საცხოვრებელზე?
 - რამდენს ხარჯავთ ზედმეტ ნივთებზე?
 - რამდენად მდიდარი ხარ?
 - და ა.შ.

ასევე შეგვიძლია ვიფიქროთ ჩვენს გადაწყვეტილებებზე და იმაზე, თუ როგორ ვიყენებთ დროს:

- რომელი ფინანსური გადაწყვეტილება იყო პასუხისმგებელი თქვენი საბოლოო შემოსავლის ანგარიშგებაზე?
- რისი შეცვლა შეგიძლიათ?
- შეიძლება თუ არა დრო ჩაითვალოს აქტივად? როგორ გამოვიყენებდი მას განსხვავებულად თუ გავითვალისწინებ შემოსავლის ანგარიშგების შედეგს?





4

ბიუჯეტირება

4.1. აღწერა

ბიუჯეტის დაგეგმვა რთული პროცესია, თუმცა ეს დაგეგმვარებათ გაანალიზოთ თქვენი მიზნები და შეადგინოთ გეგმა ყოველთვიურ ხელფასთან დაკავშირებით. ბიუჯეტირებას ვინცებთ იმის გაანალიზებით, თუ რამდენ ფულს იღებთ ყოველთვიურად, გამოკლებული რამდენ ფულს ხარჯავთ ყოველთვიურად. ამის გაკეთება შეგიძლიათ Excel-ის ფურცლებზე, ქაღალდზე ან აპლიკაციაში, რომელიც სპეციალურად ბიუჯეტის დაგეგმვისთვის არის შექმნილი, როგორცაა mint.intuit.com, goodbudget.com, pocketguard.com და ა.შ. (Foreman, 2022); შეგიძლიათ აირჩიოთ თქვენთვის მისაღები აპლიკაცია. მიუხედავად იმისა, თუ როგორ აკონტროლებთ თქვენს ბიუჯეტს, ნათლად ჩამოაყალიბეთ შემდეგი:

- შემოსავალი: ჩამონერეთ ფულის მიღების ის წყაროები, საიდანაც იღებთ ფულს ყოველთვიურად. ეს შეიძლება იყოს ხელფასი, საინვესტიციო შემოსავალი, ალიმენტი, ანგარიშსწორებები და ფული, რომელსაც იღებთ დამატებითი საქმიანობებიდან, როგორცაა ხელნაკეთების გაყიდვა.

- ხარჯები: ჩამონერეთ ყველა ის შესყიდვა, რომელსაც ახორციელებთ ყოველთვიურად, დაყავითორკატეგორიად: ფიქსირებული და ცვლადი ხარჯები ან დისკრეტული ხარჯები. თუ არ გახსოვთ სად ხარჯავთ ფულს, გადახედეთ თქვენს საბანკო ანგარიშებს, საკრედიტო ბარათის ამონაწერებს და საბროკერო ანგარიშის ამონაწერებს.

- ფიქსირებული ხარჯები არის შესყიდვები, რომელსაც ყოველთვიურად აკეთებთ. ეს რაოდენობა არ იცვლება (ან იცვლება ძალიან მცირედით) და ითვლება რომ მნიშვნელოვანი შესყიდვებია. მათ შორისაა ქირავნობის/იპოთეკის გადასახადი, სესხის და კომუნალური მომსახურების გადასახადი. ცვლადი ხარჯები წარმოადგენს არაარსებით კატეგორიას ან მოიცავს მრავალფეროვან შესყიდვებს, როგორცაა გარეთ კვება, შოპინგი, ტანსაცმელი და მოგზაურობა. გაითვალისწინეთ, რომ ეს არის სურვილები და არა საჭიროებები.

- დანაზოგები: ჩაინერეთ თანხის ოდენობა, რომლის დაზოგვასაც ყოველთვიურად შეძლებთ, იქნება ეს ნაღდი ფული, საბანკო ანგარიშზე შეტანილი ნაღდი ფული, თუ ფული, რომელსაც ამატებთ საინვესტიციო ანგარიშზე ან საპენსიო ანგარიშზე.

4.2. ძირითადი ელემენტები

4.2.1. დანაზოგა

ფინანსური მიზნების განსაზღვრის შემდეგ, შეგიძლიათ დაინწყით დაზოგვა. თავდაპირველად შესაძლოა რთული იყოს დაინწყით დაზოგვა, თუ ჩვეულებრივ ხარჯავთ იმას, რასაც გამოიმუშავებთ.

თუმცა, თუ დაინწყებთ შემოსავლის ნაწილის დაზოგვას, დაგრჩებათ ფული გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის და როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი ფინანსური მიზნების შესრულებისთვის.

დაზოგვა მოკლევადიანი მიზნების შესასრულებლად მოკლევადიანი პერიოდისთვის დაზოგვის მიზნის ზოგიერთი მაგალითია: ქირის გადახდა, საკრედიტო ბარათით დავალიანების გადახდა, პირადი ნივთები, მოგზაურობა, მცირე რემონტი გაკეთება სახლში და ა.შ.

დაზოგვა გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის ექსპერტები გვიჩვენებენ დავინწყით დაზოგვა გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის, და 3-6 თვის შემოსავლის დაზოგვას, ან მინიმუმ 1000 ევროს. ეს შეიძლება ციფრი ჩანდეს, მაგრამ მცირე რაოდენობით პერიოდული დაზოგვა დაგეგმვარებათ ამ მიზნის მიღწევაში.

ინვესტიციის გაკეთება პენსიაზე გასვლისთვის მიუხედავად იმისა, რომ პენსიაზე გასვლაზე ფიქრი შეიძლება ნაადრევი იყოს, თუმცა რაც უფრო მეტი ინვესტიციას გააკეთებთ ახლა პენსიაზე გასვლამდე, მით უფრო დიდ ამონაგებს მიიღებთ მომავალში.

თანხის დაზოგვა დიდი შენაძენის გაკეთებისთვის თავდაპირველად რთული შეიძლება იყოს თანხის დაზოგვა დიდი შენაძენის გასაკეთებლად სანამ ჯერ კიდევ აბალანსებთ ყოველთვიურ ხარჯებს და სხვა დანაზოგებს, მაგრამ გაითვალისწინეთ რომ გაქვთ დანაზოგი გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის. მაგრამ როდესაც დანაზოგს აკეთებთ დიდი შენაძენის გასაკეთებლად, თქვენი მიზნები დაყავით მცირე ეტაპებად, რათა მოტივაცია არ დაკარგოთ. 0



დაზოგვა

გრძელვადიანი მომავალი მიზნების მისაღწევად მომავლისთვის ადრეულ ეტაპზე დაზოგვა დაგეხმარებათ გრძელვადიანი მიზნების შესრულებაში. არსებობს რამდენიმე მიზეზი, რისთვისაც აზრი აქვს ახლავე დაიწყოთ დაზოგვა თქვენი გრძელვადიანი სამომავლო მიზნების განსახორციელებლად.

· დრო

ამჟამად შეიძლება ბევრი ფული არ გქონდეთ, მაგრამ დრო თქვენს მხარეზეა. როდესაც ადრევე იწყებთ დაზოგვას, მცირე ინვესტიციებმაც კი შეიძლება დიდი გავლენა მოახდინოს თქვენს მომავალზე და სამომავლო გეგმებზე.

· პროცენტის დარიცხვის რთული მეთოდი

პროცენტის დარიცხვის რთული მეთოდი გულისხმობს ანაბარზე დარიცხულ პროცენტს. როდესაც ადრინდელ ეტაპზე განახორციელებთ ინვესტიციას, დაგერიცხებით პროცენტი ფულზე, ისე რომ საქმეს არ გააკეთებთ.

· მომზადება

ფულის ადრეულ ეტაპზე დაზოგვა დაგეხმარებათ გაუმჯობესოთ ცხოვრების დონე მომავალში, მაგალითად, დარწმუნებით იცით, რომ გაქვთ ფული მოგზაურობისთვის ან პენსიაზე გასვლის შემდეგ სხვა სახალისო საქმეებს გააკეთებთ. თქვენი ფინანსური მომავლის დაგეგმვა ნიშნავს, რომ გქონდეთ ნაკლები დავალიანება, მეტი რესურსი და მეტი შესაძლებლობა, რომ გაზარდოთ სიმდიდრე თქვენი ცხოვრების მანძილზე. რაც უფრო ადრე დაიწყებთ დანაზოგვის გაკეთებას, მით მეტი ფული გექნებათ მოგვიანებით.

· უკუგების მაჩვენებელი

უკუგების მაჩვენებელი არის ზრდის მაჩვენებელი, რომელსაც ინვესტიცია ყოველწლიურად გამოიმუშავებს. დროთა განმავლობაში გრძელვადიან პერსპექტივაში ინვესტირებამ შეიძლება უფრო კარგი შედეგი მოიტანოს.

· აუჩქარეთ: თქვენი ფინანსური მომავლის დაგეგმვას, განსაკუთრებით პენსიაზე გასვლას, დრო სჭირდება. როდესაც თქვენ ფოკუსირდებით საბოლოო მიზანზე, მიზნამდე მისაღწევი გზა შეიძლება რთულად მოგეჩვენოთ. თუ თქვენ ცოტ-ცოტას დაზოგავთ, შეადგენთ გარკვეულ გეგმას და ეტაპებად დაყოფთ, მალე დაინახავთ პროგრესს პროცესშივე.

· იცხოვრეთ თქვენი შესაძლებლობების ფარგლებში: ადვილია შეიძინოთ ნივთები ისაკრედიტო ბარათით, მაგრამ დავალიანება შეიძლება სწრაფად გაიზარდოს. გადახედეთ თქვენს ბიუჯეტს, რომ გაარკვიოთ რაში იხარჯება თქვენი ფული ყოველდღიურად. ჰკითხეთ საკუთარ თავს, რამდენს ხარჯავთ საკვებზე, საწვავზე და გასეირნებაზე ყოველ კვირა, რათა გაიგოთ რაში იხარჯება თქვენი ფული.

4.2.2. ხარჯების და დანაზოგვის დაბალანსება


ჩვეულებრივი ამბავია როდესაც ფულის კონკრეტული მიზნით განანიღბებისთვის ხდება ხარჯის და დანაზოგვის დისბალანსი. ხარჯები და ფული გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის უნდა იყოს დაბალანსებული გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის, პენსიაზე გასვლისთვის და დიდ შენაძენებზე გადაადებული თანხის დაზოგვით. შეიძლება რთული იყოს მიზნების პრიორიტეტიზაცია.

როგორ შეგიძლიათ ხარჯების და დანაზოგვის დაბალანსება?

როგორც ჩანს, ძნელია ხარჯების დაბალანსება, როდესაც გაქვთ სხვადასხვა მიზანი დაზოგვისთვის, მაგრამ არსებობს რამდენიმე სტრატეგია, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ მიზნის მისაღწევად და თქვენი ხარჯებისა და დანაზოგვის დასაბალანსებლად.

· პირველ რიგში გადადეთ გარკვეული თანხა: განათავსეთ ფული შემნახველ ანგარიშზე, სანამ თანხა თქვენს მიმდინარე ანგარიშზე მოხვდება. შეგიძლიათ გამოიყენოთ ბანკის ავტომატური ფულის გადარიცხვების სერვისი ბანკში, ასე რომ არ იქნება საჭირო ყოველ ჯერზე შესხენება.

· იმოქმედეთ თქვენი ბიუჯეტის ფარგლებში: ბიუჯეტის სწორად განანიღბების დაგეგმვა რთულია, მაგრამ მიზანს დროულად მიაღწევთ თუ მოერგებით თქვენს ბიუჯეტს. ამისთვის საუკეთესო საშუალებაა იფიქროთ დიდი შენაძენის გაკეთებაზე სანამ დახარჯავთ თანხას, დაანესეთ ლიმიტი საყიდლებზე, და დაგეგმეთ კვების და სხვა ხარჯები.



რჩევები შემომნებისა და შემნახველი ანგარიშების ხარჯების დასაბალანსებად:

· ხშირად შემომნმთ თქვენი მიმდინარე ანგარიშის ბალანსი, რათა დარწმუნდეთ, რომ საკმარისი თანხა გაქვთ თქვენს ანგარიშზე. ეს დაგეხმარებათ მოერგოთ თქვენს ბიუჯეტს და იცხოვროთ თქვენი ბიუჯეტის შესაძლებლობების ფარგლებში. შემომნმთ თქვენი ბალანსი ინტერნეტით და ასევე შეგიძლიათ მიიღოთ ტექსტური შეტყობინებები, საიდანაც მიიღებთ განახლებულ ინფორმაციას, როდესაც ანგარიშზე ცოტა ფული გაქვთ.



4. Budgeting

·გამოიყენეთ თქვენი ბანკის მობილური აპლიკაცია, რათა შეამოწმოთ ნაშთები, გადარიცხვით თანხები შემნახველ ანგარიშზე, დადოთ თანხა დეპოზიტზე და გადაიხადოთ გადასახადები.

·ისარგებლეთ ბანკის პერსონალური ასისტენტის სერვისით.
·მოახდინეთ ყველაფრის ავტომატიზაცია, რათა არ დაგავიწყეთ გადასახადების გადახდა. თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ პირდაპირი დეპოზიტის სერვისი, რომ ავტომატურად მოხდეს თქვენი ხელფასის გადატანა თქვენს ანგარიშებზე ყოველ ჯერზე, როცა გადაიხდით. თქვენ ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ მობილური ტელეფონიდან ავტომატური გადახდის სერვისი გადასახადების განმეორებითი გადახდებისთვის. ამგვარად თქვენ არასოდეს გამოგრჩებათ გადახდები.

დანარჩენი 20% (ან მეტი, თუ ნაკლებს ხარჯავთ საჭიროებებზე და სურვილებზე) უნდა გაითვალისწინოთ დანაზოგისთვის. დანაზოგში შედის ფული გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის, ასევე ფული რომელიც გათვალისწინებულია მომავალი ფინანსური მიზნების შესასრულებლად და ფული ნებისმიერი დავალიანების დასაფარად.

კატეგორიებად დაყოფის მეთოდი კატეგორიებად დაყოფის მეთოდის გამოყენება გულისხმობს, როცა ფიქრობთ თქვენს ბიუჯეტზე სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით. თქვენ შეგიძლიათ დაყოთ ის იმდენ კატეგორიად, რამდენიც გსურთ.

ზოგს მოსწონს მხოლოდ რამდენიმე კატეგორიად დაყოფა და ახდენს პრიორიტეტიზაციას მნიშვნელობიდან გამომდინარე. სხვებს სურთ ბიუჯეტის დაყოფა ბევრ კატეგორიად, რათა მათ უფრო მეტად აკონტროლონ თუ როგორ ხარჯავენ ფულს. თქვენ ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ კონვერტები (რეალური ან ვირტუალური) იმისათვის, რომ თითოეული კატეგორიას უფრო მეტი ყურადღება მიაქციოთ და გააკონტროლოთ.

არ აქვს მნიშვნელობა რა მეთოდს გამოიყენებთ ბიუჯეტის დაგეგმვისთვის, ყოველთვის უნდა ეცადოთ, რომ პირველ რიგში გადადოთ თანხა გარკვეული მიზნებისთვის. ეს ნიშნავს, რომ თქვენ უნდა გამოყოთ ყოველი ხელფასიდან თანხის გარკვეული ნაწილი თქვენი მომავლის უზრუნველყოფისთვის. ამ მიზნით თანხის გამოყოფა ნიშნავს, რომ გადადოთ თანხა გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის, გააკეთოთ დანაზოგდაგადარიცხვით თანხა საპენსიო ანგარიშზე. ყოველი ხელფასიდან შემნახველანსაპენსიო ანგარიშზე თუნდაც მცირე თანხის გადადებას დროთა განმავლობაში საინვესტიციო მოგება ემატება.



4.2.3. ბიუჯეტის შედგენის მეთოდები

ბიუჯეტის შედგენის რამდენიმე სხვადასხვა მეთოდი არსებობს, ქვემოთ მოცემულია ორი მეთოდი:

50-30-20 მეთოდი

50-30-20 მეთოდის გამოყენებით, იფიქრეთ თქვენს ბიუჯეტზე პროცენტების მიხედვით. თქვენ მიზანი უნდა იყოს, რომ არ დახარჯოთ თქვენი ბიუჯეტის 50%-ზე მეტი საჭიროებებზე და 30%-ზე მეტი სურვილებზე.

4.3. გამოყენება & მაგალითები

ელექტრონული გადახდის მეთოდებმა ფულის ხარჯვა ადვილი და მოსახერხებელი გახადა, მაგრამ ის ასევე ხელს უწყობს უაზრო ხარჯების გაკეთებას, ართულებს ასევე ხარჯების კონტროლს და დაზოგვას.

Takebe იაპონური სიტყვაა და ფულის დაზოგვის იაპონურ ხელოვნებას გულისხმობს. ის გვთავაზობს მარტივ გადაწყვეტილებებს, გამოსავალს თუ როგორ ავიცილოთ თავიდან უაზრო ხარჯები. ეს არის ძალიან მარტივი პერსონალური ბიუჯეტის დაგეგმვის სისტემა, რომელიც შეიქმნა იმისთვის, რომ აკონტროლოთ თქვენი ბიუჯეტი, რაც გულისხმობს:

·ყიდვისა და ხარჯების ყოველდღიური კონტროლი, რაც გავიარბროთ ჩვენი ხარჯვის ჩვევები

·არასაჭირო ხარჯების თავიდან აცილება, რაც დაეხმარება ნებისმიერ ადამიანს დაზოგოს და შეასრულოს ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებული მიზნები.

სისტემის გამოყენება ადვილია და ის სთხოვს მომხმარებელს გასცეს პასუხი 4 ძირითად კითხვას:

1. რა თანხა გაქვთ ხელმისაწვდომი? (შემოსავალი)
2. რამდენის დაზოგვას ისურვებდით? (დაზოგვის მიზანი)
3. რამდენს ხარჯავთ? (ხარჯების დეტალური კონტროლი)
4. როგორ შეგიძლიათ გაუმჯობესება? (ყოველთვიური რეფლექსია ბიუჯეტის დაგეგმვის მიზნების შესახებ).

არსებობს ბიუჯეტის ამ მეთოდით მართვის მრავალი მოდელი და შაბლონი. აირჩიეთ ერთი და დაიწყეთ პროცესი:

·პირველ რიგში დაადგინეთ რამდენია თქვენი ბიუჯეტი. ყოველთვიურად განსაზღვრეთ თქვენი ბიუჯეტი და ჩამოწერეთ თქვენი ყოველთვიური შემოსავალი და ფიქსირებული ხარჯები. თუ თქვენს შემოსავალს გამოაკლებთ ხარჯებს, შეძლებთ დაადგინოთ რამდენი ფული გრჩებათ ყველა სხვა ყოველთვიური ხარჯებისთვის.



• შემდეგ დაადგინეთ ყოველთვიურად დამდენს დაზოგავთ, გამოაკელით ეს რაოდენობა თქვენს არსებულ ხარჯებს. ყოველთვიურად გაკეთებული დანაზოგი უნდა იყოს რეალისტური და დაკავშირებული უნდა იყოს თქვენი და თქვენი ოჯახის მნიშვნელოვან მიზნებთან.

• ყოველდღიურად აკონტროლეთ თქვენი ხარჯები. ყოველდღიურად, როდესაც თქვენ აკეთებთ შენაძენს და ახორციელებთ გადახდებს, ჩამოწერეთ: ეს ნიშნავს რეალურ დროში ხარჯვის კონტროლს. ეს ყოველდღიური რუტინა გვეხმარება გავაკონტროლოთ ჩვენი ხარჯვის ჩვევა და მომავალში რა გავლენა შეიძლება იქონიოს ამ ჩვევამ.

• გამოთვალეთ თანხა, რომელსაც ხარჯავთ ქვემოთ მოცემულ კატეგორიებში, ისე რომ ყოველი თვის ბოლოს განსაზღვროთ რამდენი დახარჯეთ თითოეულ კატეგორიაში (მოახდინეთ თქვენი ხარჯვის ჩვევის ვიზუალიზაცია):

ისაჭიროებები: საკვები, ტუალეტის ქაღალდი, საპონი...

ისურვილები: შენაძენი, რომელიც მოგწონს თუმცა არ არის ყიდვის საჭიროება, მაგალითად იყიდო ახალი პალტო ან მიირთვა რესტორანში.

იკულტურული ღონისძიებები & განათლება: წიგნების შეძენა და მუზეუმებში ვიზიტი.

იმოულოდნელი ხარჯები: დაუგეგმავი ხარჯები, როგორცაა ექიმთან ვიზიტი ან მანქანის შეკეთება.

• გამოთვალეთ დახარჯული და დაზოგილი თანხა. შეაჯამეთ თქვენს მიერ გაკეთებული ყველა შესყიდვა და გამოქვითეთ თქვენი მთლიანი ბიუჯეტიდან. ეს არის თანხა, რომლის დაზოგვაც შეძელით. ახლა შეადარეთ ის თქვენს ყოველთვიური დანაზოგის რაოდენობას.

• შეაფასეთ თქვენი შედეგი. მიაღწიეთ მიზანს? თუ ასეა, დაწერეთ, რამ განაპირობა მიზნის მიღწევა, რომ გაითვალისწინოთ შემდეგი თვისთვის. თუ არა, დაწერეთ მიზეზები, რის გამოც ვერ მიაღწიეთ მიზანს და როგორ შეგიძლიათ გააუმჯობესოთ არსებული შედეგი მომდევნო თვეში. ეს ნაბიჯი მნიშვნელოვანია Kakebo სისტემაში, რადგან ის საშუალებას იძლევა კრიტიკულად გავანალიზოთ ჩვენი ხარჯები და ბიუჯეტის დაგეგმვისას მიღებული გადაწყვეტილებები და მათი გავლენა, ვითვალისწინებთ რა ანმყოს, წარსულსა და მომავალს.

წყარო: Helen (2021) Kakebo მაგალითის მიხედვით შეადგინეთ თქვენი საკუთარი ცხრილი.

საპენსიო დანაზოგის მაგალითი:

დაიწყეთ 100 ევროს თანხით ინვესტიცია და ყოველთვიურად დაამატეთ 50 ევრო, რაც 45 წლის განმავლობაში 235,000 ევროზე მეტს შეადგენს. პროცენტის დარიცხვის რთული მეთოდი დაგეხმარებათ მიიღოთ 8-ჯერ მეტი ამონაგები თქვენს მიერ ჩადებული ინვესტიციიდან პენსიაზე გასვლისთვის. გამოთვლები შეიძლება ოდნავ განსხვავდებოდეს იმის მიხედვით, თუ გაანგარიშების რომელ მეთოდს გამოიყენებთ.



4.4. კარგი პრაქტიკები & რისკები

ბიუჯეტის შედგენისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ საჭიროებები, ვიდრე სურვილები.

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე ჭვიანური რჩევა:

- პირველ რიგში გადადეთ გარკვეული თანხა საპენსიო ფონდისთვის, დანაზოგებისთვის, გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის სანამ სხვა რამეებზე დახარჯავთ ფულს.
- შეამცირეთ ხარჯები სურვილებზე, სანამ არ დახარჯავთ თანხას საჭიროებებზე: ამ გზით თქვენ ყოველთვის გექნებათ საკმარისი თანხა საჭიროებებისთვის ან დანაზოგის გასაკეთებლად.
- გაითვალისწინეთ ვადები და მიზნები: დაიმასხოვრეთ, რომ ფულის გამოყოფისას/გადადებისთვის გაითვალისწინოთ ვადები და ფინანსური გეგმები.
- შეადგინეთ ვალის მართვის გეგმა: ვალის გადახდა გათვალისწინებული უნდა იყოს დანაზოგების სტრატეგიის შემუშავებისას.
- შეიმუშავეთ დაზოგვის სტრატეგია: გამოყავით თქვენი ხელფასის 20% ან მეტი დანაზოგისთვის.

მაგალითად, დავუშვათ, ფერმერს მოჰყავს ხორბალი და ყიდის მცხობელზე 20 ევროდ. თუ ვივარაუდებთ, რომ ფერმერს არ აქვს რესურსებზე გასაწევი ხარჯები, მისი დამატებული ღირებულება იქნება 20 €. შემდეგ მცხობელი ხორბალს პურად აქცევს და მომხმარებელზე 50 ევროდ ყიდის. მცხობელის დამატებული ღირებულება არის 30 € - ეს არის სხვაობა გაყიდვებსა და შესყიდვებს შორის. დამატებული ღირებულების ჯამი წარმოების თითოეულ ეტაპზე (ფერმერი +20 € & მცხობელი +30 €) უდრის საქონლის საბოლოო გასაყიდ ფასს, ამ შემთხვევაში 50 €.

7.2.4. კორპორატიული გადასახადი

კორპორატიული გადასახადი არის პირდაპირი გადასახადი კორპორაციის შემოსავალზე ან მოგებაზე. კორპორატიულ გადასახადებს აგროვებს მთავრობა, როგორც შემოსავლის წყაროს.

კორპორატიული გადასახადები ეფუძნება დასაბეგრ შემოსავალს ხარჯების გამოქვითვის შემდეგ. უფრო კონკრეტულად, ამ გადასახადებს იხდიან კომპანიის დასაბეგრი შემოსავლის მიხედვით, რომელიც გულისხმობს შემოსავალს გამოკლებული გაყიდული საქონლის ღირებულება (COGS), ზოგადი და ადმინისტრაციული (G&A) ხარჯები, გაყიდვები და მარკეტინგი, კვლევა და განვითარება, ამორტიზაცია და სხვა საოპერაციო ხარჯები.

ძალიან მნიშვნელოვანია ამ გადასახადის გათვალისწინება ახალი ბიზნესის დაწყებისას, თუმცა, როგორც წესი, სტარტაპებისთვის ხდება ამ გადასახადის გამოქვითვა.

კორპორატიული გადასახადის განაკვეთები შეიძლება განსხვავდებოდეს ქვეყნების მიხედვით: ზოგიერთი ქვეყანა ითვლება საგადასახადო თავშესაფრად მათი დაბალი განაკვეთების გამო. ევროპის OECD-ის ქვეყნებში, ისევე როგორც მსოფლიოს უმეტეს რეგიონებში, ბოლო ათწლეულების განმავლობაში კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების ვარდნა შეინიშნებოდა. 2000 წელს კორპორატიული გადასახადის საშუალო განაკვეთი იყო 31.6% და შემცირდა დღევანდელ 21.7% -მდე.

კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების ცხრილი


Country	Central government		Sub-central government corporate income tax rate		Combined corporate income tax rate
	Corporate income tax rate	Corporate income tax rate exclusive of surtax	Corporate income tax rate less deductions for sub-national taxes	Corporate income tax rate	
France	28.41	27.50	28.41	..	28.41
Germany	15.83	15.00	15.83	14.11	29.94
Greenland	24.00	..	24.00	..	24.00
Hungary	9.00	..	9.00	..	9.00
Iceland	20.00	..	20.00	..	20.00
Ireland	12.50	..	12.50	..	12.50
Italy	24.00	..	23.91	3.90	27.81
Latvia	20.00	..	20.00	..	20.00
Lithuania	13.00	..	13.00	..	13.00
Luxembourg	18.18	17.00	18.18	6.75	24.94
Netherlands	25.00	..	25.00	..	25.00
Norway	22.00	..	22.00	..	22.00
Poland	19.00	..	19.00	..	19.00
Portugal	30.00	21.00	30.00	1.50	31.50
Slovak Republic	21.00	..	21.00	..	21.00
Slovenia	19.00	..	19.00	..	19.00
Spain	25.00	..	25.00	..	25.00
Sweden	20.80	..	20.80	..	20.80
Switzerland	8.50	..	8.83	12.87	19.70
United Kingdom	19.00	..	19.00	..	19.00

წყარო: OECD. https://stats.oecd.org/index.aspx?DataSetCode=Table_II1



7.3.გამოყენება & მაგალითები

ანაზღაურების (ხელფასის) მაგალითი, სადაც აისახება გადასახადი (პირდაპირი გადასახადი):



Tu gestión laboral en www.nomio.io

EMPRESA		N.I.F.	
000001	EMPRESA EJEMPLO NOMIO.IO	A11111111	
DOMICILIO		Nº S.S.	
CALLE FORTUNY 7 - MADRID		28111111M	

TRABAJADOR/A 000010	DEPARTAMENTO	CATEGORÍA PROFESIONAL	PUESTO DE TRABAJO	Nº S.S.				
TRABAJADOR EJEMPLO NOMIO.IO	PRODUCCIÓN	GRUPO 1	CALIDAD	082569820030				
FECHA ALTA	ANTIGÜEDAD	GRUPO COTIZACIÓN	% IRPF	OCCUPACIÓN	AÑO	DEL AL MES	DÍAS	D.N.I.
20/05/2018	20/05/2018	01	12,00	A	202X	1 al 31 de enero	30	11111111H

CLAVE	CONCEPTO	CANTIDAD	IMPORTE	DEVENGOS	DEDUCCIONES
1	SALARIO BASE	30,00	56,00	1.500,00	
5100	CUOTA TARIFADA	4,70 %	1.750,00		82,25
5103	CUOTA ACCIDENTES	1,65 %	1.750,00		28,88
5120	RETENCIÓN I.R.P.F.	12,00 %	1.500,00		180,00
TOTAL				1.500,00	291,13

BASE COTIZACIÓN CONTI. COMUNES	REMUNERACIÓN	PRORRATA	L.T.	TOTAL	LÍQUIDO A PERCIBIR 1.208,87
	1.500,00	250,00	0,00	1.750,00	
BASE COTIZACIÓN DESEMPLEO/ F.P./ A.T.	REMUNERACIÓN	PRORRATA	L.T.	TOTAL	HORAS EXTRAS
	1.500,00	250,00	0,00	1.750,00	0


APORTACIÓN TRABAJADOR/A A LA SEGURIDAD SOCIAL 111,13

CONCEPTO	BASE	%	TOTAL
Contingencias Comunes	1.750,00	4,70	82,25
Desempleo	1.750,00	1,55	27,13
F.P. (Formación Profesional)	1.750,00	0,10	1,75


APORTACIÓN DE LA EMPRESA A LA SEGURIDAD SOCIAL 590,63

CONCEPTO	BASE	%	TOTAL
Contingencias Comunes	1.750,00	23,60	413,00
Desempleo	1.750,00	5,50	96,25
F.P. (Formación Profesional)	1.750,00	0,60	10,50
FOGASA (Fondo Garantía Salarial)	1.750,00	0,20	3,50
I.T. (Incapacidad Temporal)	1.750,00	2,00	35,00
I.M.S. (Incapacidad, Muerte y Supervivencia)	1.750,00	1,85	32,38


FIRMA DEL TRABAJADOR/A RECIBI
FECHA 31/01/202X




FIRMA Y SELLO DE LA EMPRESA
MUNICIPIO MADRID



წყარო.Nomio (<https://nomio.io/ejemplo-nomina-pdf/>)



საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის მაგალითი



Agencia Tributaria
Teléfono: 901 33 55 33
www.agenciatributaria.es

Impuesto sobre la Renta de las Personas Físicas
Actividades económicas en estimación directa
Pago fraccionado **Declaración**

Modelo
130

Declarante (1)

Espacio reservado para la etiqueta identificativa


Si no dispone de etiquetas, consigne los datos identificativos que se solicitan a continuación.

NIF: _____ Apellidos y nombre: _____

Derecho (2)

Ejercicio: _____ Período: _____ T

130272723782 2



I. Actividades económicas en estimación directa, modalidad normal o simplificada, distintas de las agrícolas, ganaderas, forestales y pesqueras. (Datos acumulados del período comprendido entre el primer día del año y el último día del trimestre).

Ingresos computables correspondientes al conjunto de las actividades ejercidas	01	
Gastos fiscalmente deducibles correspondientes al conjunto de las actividades ejercidas	02	
Rendimiento neto (01 - 02). Si se obtiene una cantidad negativa, consíguela con signo menos (-)	03	
20 por 100 del importe de la casilla 03, si dicho importe es positivo, (Si la casilla 03 fuese negativa, consigne el número cero)	04	
A deducir:		
De los trimestres anteriores: suma de los importes positivos de la casilla 07 menos la suma de los importes de la casilla 16	05	
Retenciones e ingresos a cuenta soportados por las actividades incluidas en este apartado y correspondientes al período comprendido entre el primer día del año y el último día del trimestre	06	
Pago fraccionado previo del trimestre (04 - 05 - 06) . Si se obtiene una cantidad negativa, consíguela con signo menos (-)	07	

II. Actividades agrícolas, ganaderas, forestales y pesqueras en estimación directa, modalidad normal o simplificada.

Volumen de ingresos del trimestre (excluidas las subvenciones de capital y las indemnizaciones)	08	
2 por 100 del importe de la casilla 08	09	
A deducir: Retenciones e ingresos a cuenta soportados por las actividades incluidas en este apartado y correspondientes al trimestre	10	
Pago fraccionado previo del trimestre (09 - 10) . Si se obtiene una cantidad negativa, consíguela con signo menos (-)	11	

III. Total liquidación.

Suma de pagos fraccionados previos del trimestre (07 + 11) . Si se obtiene una cantidad negativa, consigne el número cero (0)	12	
A deducir: Minoración por aplicación de la deducción a que se refiere el artículo 80 bis de la Ley del Impuesto	13	
Diferencia (12 - 13) . Si se obtiene una cantidad negativa, consíguela con signo menos (-)	14	
A deducir (si la diferencia anterior es positiva y con el máximo de su importe):		
Resultados negativos de trimestres anteriores	15	
Por destinar cantidades al pago de préstamos para la adquisición o rehabilitación de la vivienda habitual: El 2 por 100 de 05 (máximo: 660,14 euros por trimestre) o el 2 por 100 de 06 (máximo: 660,14 euros anuales)	16	
Total (14 - 15 - 16) . Si se obtiene una cantidad negativa, consíguela con signo menos (-)	17	
A deducir (exclusivamente en caso de declaración complementaria):		
Resultado a ingresar de las anteriores declaraciones presentadas por el mismo concepto, ejercicio y período	18	
Resultado de la declaración (17 - 18)	19	

Ingreso (4)

Ingreso efectuado a favor del Tesoro público. Cuenta restringida de colaboración en la recuperación de la AEAT de autoliquidaciones.

Importe del ingreso (casilla 19) _____

Forma de pago: En efectivo Adreud en cuenta

Código cuenta cliente (CCC) _____

Entidad Sucursal DC Número de cuenta

Declaración (5)

Declaración con resultado a deducir en los siguientes pagos fraccionados del mismo ejercicio

Declaración complementaria

Si esta declaración es complementaria de otra declaración anterior correspondiente al mismo concepto, ejercicio y período, consigne una "X" en esta casilla.

En este caso, consigne a continuación el número de justificante identificativo de la declaración anterior.

Nº de justificante: _____

Negativa (6)

Declaración negativa

Firma (8)

_____ a _____ de _____ de _____ Firma: _____

Este documento no será válido sin la certificación mecánica o, en su defecto, firma autorizada
Ver. 1.0/2009

Ejemplar para el contribuyente

ნყარი: <https://sede.agenciatributaria.gob.es/>

- 43 -

კაფის ან სუპერმატკერის პროდუქტების ყიდვის ქვითარი (არაპირდაპირი გადასახადი):



წყარო: <https://www.dreamstime.com/>

7.4. კარგი პრაქტიკები & რისკები

• განსაზღვრეთ გადასახადები და საგადასახადო შენატანები, რომელიც სავალდებულოა გადაიხადოთ.


• გაეცანით ამ გადასახადების გადახდის განრიგს. იცოდეთ განრიგი საშუალებას მოგცემთ თავიდან აიცილოთ ჯარიმები ან დაგვიანებული გადახდისთვის დადგენილი პროცენტები, ასევე ისარგებლოთ ფასდაკლებით ან გამოქვითვებით წინასწარი გადახდის გამო.

• წინასწარ გამოთვალეთ და გამოყავით გადასახადების გადასახდელად საჭირო რესურსები.
• არ მოიტოვოთ გადასახადი ბოლო წუთისთვის;

• განსაზღვრეთ რესურსების წყარო, რომელსაც გამოიყენებთ გადასახადების გადასახდელად. მაგალითად, თუ თქვენ გაქვთ შემოსავალი იჯარით, გამოყავით პროცენტი ყოველთვიური დანაზოგის, რომელიც საშუალებას მოგცემთ განახორციელოთ დანაზოგი თქვენი საშემოსავლო გადასახადის გასაცემად.

• ყურადღებით შეამოწმეთ რა გამოქვითვები შეგიძლიათ გამოიყენოთ და დაინყეთ მათი გამოყენება: საპენსიო გეგმები, საცხოვრებლის ხარჯები, ბავშვის მოვლა და ა.შ.

• ეჭვის ქონის შემთხვევაში, რაც შეიძლება მალე მიმართეთ თქვენი ქვეყნის საგადასახადო სამსახურს.
• პირდაპირი გადასახადები შეიძლება აგვარებდეს ინფლაციისგან გამოწვეულ პრობლემებს, ხოლო არაპირდაპირი გადასახადებმა შეიძლება გამოიწვიოს ინფლაცია.



7.5. კითხვები & რეფლექსიები

გადასახადები და დაბეგვრა შეიძლება იყოს ცოტა მძიმედ აღსაქმელი ცნებები, მაგრამ მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ გადასახადები რეალურად ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური ნაწილია, თუმცა გარკვეულწილად უხილავი.

ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში გადასახადების სახეობების გაცნობა ხელს შეუწყობს ამ კონცეფციის, მისი შედეგებისა და ზეგავლენის გაანალიზებას.

მოდით, ერთი დღით დავფიქრდეთ ყველა იმ არაპირდაპირ გადასახადზე, რომელსაც იხდით როგორც მომხმარებელი. შეეცადეთ შეინახოთ თქვენი ყოველდღიური შესყიდვების ყველა ქვითარი და დაფიქრდით ამ კითხვებზე:

თუ მუშაობთ, შეეცადეთ თქვენს სახელფასო ამონაწერში განსაზღვროთ ყოველთვიური საშემოსავლო გადასახადი, რომელიც ჩამოიჭრება ხელფასიდან.

• იცოდით ამის შესახებ?

• რა პროცენტი აკლდება თქვენს შემთხვევაში?

• სცადეთ გამოთვალოთ თქვენი საშემოსავლო გადასახადის პროპორციული წლიური ჯამი?

• რა მოსაზრებებს და დამატებით შეკითხვებს გვთავაზობს ეს რეფლექსია თქვენს შემთხვევაში?




• რამდენია დღე, რაც გადაიხადეთ, როგორც მომხმარებელმა დღეს?

• გქონდათ ინფორმაცია ამის შესახებ?

• რომელ პროდუქტებს აქვთ უფრო მაღალი განაკვეთი დღე-ზე?

• რომელია ყველაზე დაბალი?

• რატომ ფიქრობთ ასე?





მენარმეობა ⁸

8.1. აღწერა

სანამ ბიზნესის კეთებას დაიწყებთ, მნიშვნელოვანია მოაწესრიგოთ თქვენი პირადი ფინანსები. ნებისმიერი წარმატებული მენარმე გეტყვით, რომ ბიუჯეტის შემუშავება და შემდეგ იმოქმედოთ ამ ბიუჯეტის ფარგლებში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია თუ გინდათ გახდეთ მენარმე. ამრიგად, ამ გზამკვლევის წინა თავები ძალიან სასარგებლო ინფორმაციას შეიცავს.

გარდა ამისა, ბიზნესის დაწყება შეიძლება ძვირი ღირს. თქვენ უნდა დაზოგოთ ან მიიღოთ დაფინანსება (დანვრილებით ამის შესახებ მოგვიანებით ვისაუბრეთ) საკმაოდ დიდი თანხა, სანამ ნამდვილად დაიწყებთ საქმიანობას. ეს სასტარტო კაპიტალი არის ფული, რომელსაც თქვენ ჩადებთ მარაგების გასაკეთებლად, მარკეტინგის, იურიდიული სერვისების მისაღებად და სხვა ინვესტიციების სახით, რომ დაიწყოთ საკუთარი ბიზნესი და მართოთ.

ამ თავში ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე ძირითად კონცეფციაზე, რომელიც უფრო მეტად არის დაკავშირებული სტარტაპებთან, როგორიცაა სამენარმეო უნარები, ბიზნეს გეგმა, ბიზნეს შესაძლებლობები, საწყისი დაფინანსება და ბიზნესის ფიჩი.



8.2 ძირითადი ელემენტები

8.2.1. მენარმე

მენარმე არის ის, ვინც იწყებს და მართავს საკუთარ ბიზნესს. იყო ანტრეპრენიორული ნიშნავს იფიქრო ან იმოქმედო როგორც მენარმე.

თქვენ შეიძლება ჰკითხოთ საკუთარ თავს: „რატომ სურს ვინმეს გახდეს მენარმე? ნუთუ უფრო ადვილი არ იქნება იმუშაო დიდ კომპანიაში?“ იმის გასაგებად, თუ რა გავლენა აქვთ მენარმეებს, მნიშვნელოვანია ცოტა რამ გავიგოთ ეკონომიკის შესახებ. ეკონომიკა არის სოციალური მეცნიერება, რომელიც სწავლობს, თუ როგორ აკმაყოფილებენ ადამიანები თავიანთ მოთხოვნებს საქონელზე (რაც შეგიძლიათ შეიძინოთ) და მომსახურებაზე (ის, რასაც ხალხი აკეთებს სარგებლის მისაღებად).

იფიქრეთ თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე - საკვებზე, რომელსაც მიირთმევთ, ტანსაცმელს, რომელსაც ატარებთ. ეს ნივთები, სავარაუდოდ, ვიღაცამ შექმნა და მაღაზიაში იყიდა. ყოველდღიურად არის რაღაცეები, რომლებიც გჭირდებათ იმისთვის რომ იარსებოთ (როგორცაა საკვები, წყალი, თავშესაფარი) და ის, რაც არ გჭირდებათ არსებობისთვის, მაგრამ მაინც გსურთ გქონდეთ (ტელეფონები, კომპიუტერები). ძალიან რთული იქნება თუ თქვენ თავად ანარმობთ ყოველდღიურად ანარმობთ თქვენთვის საჭირო ნივთებს, ამიტომ სხვა ადამიანები მუშაობენ იმისთვის, რომ მოგაწოდონ ნივთები თქვენი საჭიროებების ან სურვილების დასაკმაყოფილებლად. თქვენ აძლევთ ფულს საკვების სანაცვლოდ, რასაც მიირთმევთ და ის, ვინც მოგიყიდათ საკვები, ხარჯავს ფულს რაღაცაში, რაც მას სჭირდება ან სურს.

ეკონომიკა სწავლობს მომწოდებლებისა და მყიდველების ამ ურთიერთობებს. მენარმეები შემოდიან ამ ურთიერთობაში იმიტომ, რომ ისინი ქმნიან ბიზნესებს, რომლებიც ანარმობენ ამ პროდუქტებსა და სერვისებს, რათა დააკმაყოფილონ თქვენი ყველა საჭიროება და სურვილი. რაც უფრო იზრდება მსოფლიოს მოსახლეობა, იქნება მეტი საჭიროება და სურვილები და კიდევ უფრო მეტი მოთხოვნა მენარმეებზე.



8.2.2. ბიზნეს გეგმა

ბიზნეს გეგმა არის თქვენი ბიზნესის მიზნების მიმოხილვა და მოიცავს დეტალებს როგორ აპირებთ ამ მიზნების მიღწევას. მენარმეები ატარებენ კვლევას და შეიმუშავებენ ბიზნეს გეგმას ბიზნესის დაწყებამდე, რათა თავიდან აიცილონ რისკი.



აქტივები არის ყველაფერი, რასაც აქვს ღირებულება. აქტივები შეიძლება იყოს მატერიალური, როგორცაა ფული, ან არამატერიალური, როგორცაა დრო და ენერჯია. მენარმეები ახდენენ აქტივების ინვესტიციას ბიზნესის დასაწყებად იმ იმედით, რომ მიიღებენ სარგებელს. ბიზნეს გეგმა არის თქვენი ბიზნესის მიზნების გაცხადება, მიზეზები, თუ რატომ ფიქრობთ რომ მიაღწევთ ამ მიზნებს და როგორ აპირებთ მათ მიღწევას. თუ თქვენ დაიწყებთ საქმიანობას ბიზნესის გეგმის გარეშე, მალე მოგიწევთ უპასუხეთ იმ კითხვებს, რომლებზეც პასუხი არ გაქვთ. ბიზნეს გეგმა გაიძლეობთ გაარკვიოთ, თუ როგორ უნდა აამუშაოთ თქვენი ბიზნესი და გეხმარებათ თვალი მიადევნოთ იმას, ასრულებს თუ არა ბიზნესი დასახულ მიზნებს. კარგად დანერგილი გეგმა ასევე დაგეხმარებათ თქვენი ბიზნესის განვითარებაში ყველა ეტაპზე. დროდადრო, ბიზნეს გეგმა საჭიროებს გადახედვას, რათა შეესაბამებოდეს ბიზნესის ცვალებად ბუნებას. ზოგიერთი ბიზნესი ამას აკეთებს ყოველწლიურად, ზოგი კი ყოველთვიურად ან ყოველკვირეულად. მიუხედავად იმისა, რომ მენარმეების მიერ ზოგჯერ ხდება გეგმის გადახვევა, მნიშვნელოვანია დაიწყოთ საწყისი გეგმით, თუ როგორ იმუშავებთ თქვენი მიზნების მისაღწევად და რა მოქმედებებს განახორციელებთ, როდესაც პრობლემები წარმოიქმნება. ბიზნეს გეგმის ქონა ხელს უწყობს ბიზნესის რისკების შემცირებაში საქმიანობის დაწყებისას და საბოლოოდ დაგეხმარებათ გახადოთ თქვენი ბიზნესი წარმატებული.

ალექს ოსტერვალდერის მიერ შექმნილი კანვას ბიზნეს მოდელის ტილო გამოიყენება ახალი ბიზნეს მოდელების შესაქმნელად. ეს არის მოკლე ერთგვერდიანი ბიზნეს გეგმა, რომელიც ხდის თქვენს ბიზნეს იდეას უფრო მარტივს გასაგებად და ეფექტურს პირდაპირი, სტრუქტურირებული ფორმით. კანვას ბიზნეს მოდელი დაგეხმარებათ დეტალურად გაანალიზოთ იმ მომხმარებლების სურვილები და მოთხოვნები, რომლებსაც ემსახურებით, რა ღირებულების შესთავაზებთ რა არხებით და როგორ შეუძლია თქვენს ბიზნესს ფულის კეთება (Osterwalder, 2005).

8.2.3. ბიზნესის შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობა არის მომხმარებლის მოთხოვნილება ან სურვილი, რომელიც პოტენციურად შეიძლება დააკმაყოფილოს ახალმა ბიზნესმა. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი იდეა, რომელსაც თქვენ მოიფიქრებთ, შეიძლება იყოს საინტერესო, ყველა ბიზნეს იდეა არ განიხილება, როგორც კარგი ბიზნეს შესაძლებლობა.

- არსებობს ბიზნეს შესაძლებლობების ხუთი გარე წყარო:**
 - პრობლემები:** პრობლემა, რომელიც უნდა გადაიჭრას მომსახურების ან პროდუქტის მიერ.
 - ცვლილებები:** ცვლილება ტენდენციებში, კანონებში ან წეს-ჩვეულებებში, რაც იწვევს ახალ საჭიროებებს ან სურვილებს.
 - ახალი აღმოჩენები:** სრულიად ახალი პროდუქტის ან სერვისის შექმნა.
 - არსებული პროდუქტები ან სერვისები:** საშუალებები, რომლებიც აუმჯობესებენ არსებულ პროდუქტებს ან სერვისებს.
 - უნიკალური ცოდნა:** უნიკალური გამოცდილება ან იშვიათი ცოდნა.

8.2.4. ბიზნესის სამართლებრივი ფორმები

ბიზნესის დაწყებისას თქვენ უნდა გადაწყვიტოთ ბიზნესის რომელი სამართლებრივი ფორმით იწყებთ საქმიანობას. თქვენი ბიზნესის სამართლებრივი ფორმა განსაზღვრავს, თუ რომელი საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის ფორმა უნდა შეავსოთ. ბიზნესის ყველაზე გავრცელებული ფორმებია:

- **ინდივიდუალური საწარმო:** ინდივიდუალური მენარმე არის ის, ვინც თავად ფლობს არაკორპორატიულ ბიზნესს. ინდივიდუალური მენარმეების მაგალითებია, მაგ. მცირე ბიზნესი, როგორცაა, ადგილობრივი სასურსათო მაღაზია, ადგილობრივი ტანსაცმლის მაღაზია, მხატვარი, ფრილანსერი მწერალი, IT კონსულტანტი, თავისუფალი გრაფიკული დიზაინერი და ა.შ.
- პარტნიორობა:** საქმიანი პარტნიორობა არის სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც ყველაზე ხშირად ყალიბდება ორ ან მეტ ფიზიკურ პირს ან კომპანიას შორის წერილობითი შეთანხმებით ვაჭრობის ან ბიზნესის საწარმოებლად. პარტნიორები საკუთარი ფულის, ქონების, შრომის ან უნარების ინვესტირებას ახდენენ ბიზნესში და თითოეული პარტნიორი იზიარებს ბიზნესის მოგებასა და ზარალს. პარტნიორული ბიზნესის ერთ-ერთი მაგალითია ურთიერთობა Uber-სა და Spotify-ს შორის. Uber-ის მგზავრებს შეუძლიათ აირჩიონ Spotify-დან მუსიკა და მოუსმინონ მგზავრობისას.



•კორპორაცია: ბიზნეს კორპორაცია არის სამართლებრივი სუბიექტი, რომელიც მის მფლობელებს პირდაპირი გაგებით არ ექვემდებარება. კორპორაციებს შეუძლიათ მიიღონ მოგება, დაიბეგრონ და შეიძლება დაეკისროთ სამართლებრივი პასუხისმგებლობა. კორპორაციები სთავაზობენ პირადი პასუხისმგებლობისგან ყველაზე ძლიერ დაცვას მის მფლობელებს, მაგრამ კორპორაციის შექმნის ფასი სხვა სტრუქტურებთან შედარებით უფრო მაღალია. თითქმის ყველა მსხვილი ბიზნესი არის კორპორაცია, მათ შორის Microsoft Corp., Coca-Cola Co. და Toyota Motor Corp.

•შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს): შპს არის ბიზნეს სტრუქტურა, რომელიც იცავს თავის მფლობელებს აიღონ პირადი პასუხისმგებლობა ვალეებზე ან ვალდებულებებზე. შპს-ები ძალიან გავრცელებული სამართლებრივი ფორმაა, რადგან ისინი უზრუნველყოფენ იგივე შეზღუდულ პასუხისმგებლობას, როგორც კორპორაცია, მაგრამ უფრო ადვილი და იაფი ჯდება მისი დაფუძნება და მართვა. ამრიგად, მცირე ბიზნესი ჩვეულებრივ სამართლებრივ ფორმას ირჩევს შპს-ს.



სტარტაპი არის კონკრეტული ტიპის სამეწარმეო ინიციატივა. სტივ ბლანკი, ავტორი "სტარტაპის სახელმძღვანელო. დიდი კომპანიის დაფუძნება და განვითარება ეტაპობრივად" (Blank & Dorf, 2012), აცხადებს, რომ სტარტაპი არის დროებითი ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია იმისთვის, რომ მოძებნოს მომგებიანი, განმეორებადი და მასშტაბური ბიზნეს მოდელი. ეს ნიშნავს, რომ სტარტაპი არის ნებისმიერი დროებითი ორგანიზაცია, რომელიც ეძებს ეფექტურ გზას გამოიმუშაოს ფული პროდუქტების ან სერვისების გაყიდვით და ორიენტირებულია ეფექტური ბიზნეს მოდელის შემუშავებასა და მოძებნაზე. სტარტაპი ერთგვარი „სატესტო პერიოდია“, კერძოდ, ბიზნეს იდეამ უნდა იმოქმედოს თუ არა. სტარტაპის შემთხვევაში ასევე მნიშვნელოვანია ბიზნეს იდეის ბუნება.

„The Lean Startup“-ის (Ries, 2011) ავტორის, ერიკ რეისის თქმით, სტარტაპი არის პროექტი, რომელიც შექმნილია ახალი პროდუქტის ან სერვისის შესაქმნელად სარისკო და გაურკვეველ პირობებში. ეს განმარტება გვიჩვენებს, რომ სტარტაპი შეიძლება იყოს მხოლოდ ინოვაციური პროექტი და ასევე მოხდეს მისი გასაყიდად ჩაშვება გაურკვეველი პირობებით. ასე რომ, ეს იქნება, გარკვეულწილად, ახალი, აქამდე უცნობი ბიზნეს წამოწყება, რომლის პოტენციალის სრულად გაზომვა და ანალიზი შეუძლებელია.

8.2.5.სტარტაპის დაფინანსება

არსებობს დაფინანსების სამი ძირითადი ტიპი, რომელსაც ყველა მენარმე აიღებს გარკვეულ ეტაპზე ბიზნესის კეთებისას, ესენი: გრანტები, დავალიანება და კაპიტალი. ბევრი მენარმე იყენებს სამივეს, მაგრამ მნიშვნელოვანია გვესმოდეს მათ შორის განსხვავებები და როგორ მოქმედებს ისინი თქვენს ბიზნესზე.

•გრანტები

გრანტები არის დაფინანსების ტიპი, რომელიც არ მოითხოვს თქვენგან თანხის დაბრუნებას ან კაპიტალის დათმობას სანაცვლოდ. მთავრობა ან საქველმოქმედო ორგანიზაცია ხშირად სთავაზობს მას ბიზნესს. ის რომ ამ თანხების ანაზღაურება და დაბრუნება არ ხდება მიზიდველი შეიძლება იყოს, მაგრამ ხშირად მსგავსიდ დაფინანსების მისაღებად საჭიროა მკაცრი კრიტერიუმების დაცვა. შესაბამისად, შესაბამისი გრანტების მოძიება და განაცხადის გაკეთება შეიძლება იყოს შრომატევადი და კონკურენტუნარიანი პროცესი. გრანტების გარდა, მთავრობებს შეუძლიათ შესთავაზონ მენარმეებს სხვა სუბსიდიები, როგორიცაა საგადასახადო შეღავათები.

•ვალს

ვალის დაფინანსება სხვადასხვა ფორმით ხდება, მაგრამ არსებითად გულისხმობს ფულის სესხებას, რომელიც რაღაც მომენტში უნდა დაბრუნდეს, დროთა განმავლობაში დარიცხულ პროცენტებთან ერთად. საბანკო ოვერდრაფტები და საკრედიტო ბარათების დაფინანსება არის ვალის დაფინანსების ზოგიერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა, რომელსაც იყენებენ ბიზნესები, მათ შორის ბიზნესის გაფართოების მიზნით. ვალის გამოყენება ბიზნესის დასაფინანსებლად შეიძლება იყოს კრიტიკული გადაწყვეტილება: აშშ-ში ჩატარებულმა კვლევამ დაადგინა, რომ სტარტაპი, რომელიც იყენებს ბიზნეს ვალს, „ზრდის თავის შემოსავალს უფრო სწრაფად და უმეტესწილად გადარჩებაკრიტიკული პირველი სამი წლის განმავლობაში, ვიდრე ის სტარტაპი, რომელიც ვალს არ იყენებს“.



•წილი კაპიტალში

წილი ნიშნავს თქვენი კომპანიის წილის გაცემას სახსრების სანაცვლოდ. ამის ერთ-ერთი უპირატესობა ის არის, რომ ინვესტორები ასევე იღებენ რისკს საკუთარ თავზე, ასე რომ, თუ კომპანია დაიშლება, თქვენც იზიარებთ პასუხისმგებლობას და შეიძლება დიდი დავალიანება არ დარჩეს დასაფარად; კიდევ ერთი უპირატესობა ის არის, რომ მას შეუძლია ხელი შეუწყოს ყველა დაინტერესებული მხარეების თანაბარ ჩართულობას პროცესში, რათა ყველას იყოს დაინტერესებული კომპანიის წარმატებით. ამის უარყოფითი მხარე არის ის, რომ ეს ინვესტორს ერთგვარ „მოდუნებას“ საქმისადმი (თუ თქვენ ნაკლებ წილს ფლობთ, შესაბამისად გაქვთ ნაკლები უპირატესობები) და შესაძლოა ასევე მოგიწიოს უარი თქვათ ჩაერთოთ გადაწყვეტილების მიღებაში (იხ. ქვემოთ). კაპიტალის ინვესტორებს, ბუნებრივია, სურთ თავიანთი აქციების ღირებულების მაქსიმიზაცია და, როგორც წესი, სურთ გააცნობიერონ ეს ღირებულება "გასვლისას", რაც ზოგჯერ ინვესტორს კონფლიქტებს. წილისთვის ინვესტიციას სჭირდება აქციონერთა ხელშეკრულება, რისთვისაც დაგჭირდებათ პროფესიული რჩევა. ბევრ მენარმეს აქვს გარკვეული დათქმები კაპიტალის გაცემასთან დაკავშირებით: მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, ოთხიდან მხოლოდ ერთი იყენებს კაპიტალის დაფინანსებას. ზოგიერთ შემთხვევაში, ეს გამოწვეულია დათქმებით მათი ბიზნესზე კონტროლის დათმობის შესახებ; სხვა შემთხვევაში, ეს გამოწვეულია ცოდნის ნაკლებობით ან მენარმეების მიერ რთულად აღქმება. თუმცა, ფინანსების მოზიდვის გარეშეც კი, სტარტაპებს შეიძლება დასჭირდეს ფიქრი თანადამფუძნებლებს შორის წილის გაყოფაზე, ასევე თანამშრომლების ან მრჩევლების ნახალისებაზე.

ჰიბრიდული ფორმები

განსხვავება გრანტებს, ვალსა და წილის დაფინანსებას შორის არ არის ისეთი მკაფიო, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. არსებობს მრავალი ინსტრუმენტი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ტიპის დაფინანსებებს, როგორცაა კონვერტირებადი ვალი, ორდერი და მეზანი დაფინანსება, რაც მზარდი ბიზნესის დაფინანსებისთვის მორგებული მიდგომის გამოყენების საშუალებას იძლევა. სიცხადისთვის, ეს გზამკვლევი არ განიხილავს ამ ფორმებს დეტალურად, მაგრამ დაფინანსების სტრატეგიის შემუშავებისას უნდა გვახსოვდეს, რომ დაფინანსების სხვადასხვა წყარო შეიძლება ერთმანეთის შემავსებელი იყოს.

ინვესტორები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩვენ წარმოვადგინეთ ინფორმაციას რვა ტიპის ინვესტორის შესახებ და სტარტაპის დაფინანსების გზებს:

	მოკლედ	საშუალო ზომა	ფინანსების მოსაზიდად	დაფინანსების ხარჯები	უზრუნველყოფა
თვითდაფინანსება	ფინანსები წარმოიქმნება ბიზნესის ფარგლებში (გარე კაპიტალის გარეშე)	არა	არა	არა	არა
ქრაუდფანდინგი	დაფინანსება მოძიებულია ადამიანებისგან, ონლაინ პლატფორმების საშუალებით	10k ჯილდოებზე დამოკიდებული	1-2 თვე	საშუალო	ნებისმიერი (ირჩევს სტარტაპი)
ანგელოზი ინვესტიცია	ფინანსები მოძიებულია იმ ადამიანებისგან, რომლებიც ახდენენ საკუთარი ფულის ინვესტიციას	180,000	2-6 თვე	დაბალი	საკუთრების წილი ან დასაბრუნებელი დავალიანება
ვენჩრეული კაპიტალი	ფინანსების მოძიება ხდება ინსტიტუციური ინვესტორებისგან ან დიდი კორპორაციებისგან	5 000 000	6-12 თვე	საშუალო	საკუთრების წილი ან დასაბრუნებელი დავალიანება
პირველადი მონეტის შეთავაზება	ფინანსების მოძიება ხდება საჯარო ინვესტორებისგან, რომლებიც იყენებენ კრიპტოვალუტებს	15 000 000	3-12 თვე	საშუალო	ნებისმიერი ტიპის შენატანი (ირჩევს სტარტაპი)
კორპორატიული შენაძენი აქციების	ფინანსების მოძიება ხდება კორპორაციების მიერ გაკეთებული შენაძენებით ფინანსების მოძიება	57 000 000	4-6 თვე	საშუალოდან მაღლისკენ	კომპანიის რესტრუქტურიზაცია
პირველადი საჯარო განთავსება	ხდება წილების გაყიდვით საჯარო ინვესტორებზე საფონდო ბირჟაზე	120 000 000	2-18 თვე	მაღალი	საკუთრების რამდენიმე მცირე წილი
პირადი განთავსება	ფინანსების მოძიება ხდება შერჩეული ინვესტორების მცირე ჯგუფებიდან კერძო შეთავაზებებით	210 000 000	4-10 თვე	მაღალი	საკუთრების წილი და დასაბრუნებელი დავალიანება

Source: Nesta Foundation (Blitterswijk, Haley & Febvre, 2019).



8.2.6. ბიზნეს ფიჩი

ბიზნეს ფიჩი არის თქვენი ბიზნესის სწრაფი აღწერა, რომელსაც იყენებთ კლიენტებისთვის და ინვესტორებისთვის საქმიანობის გადმოსაცემად. მათ ზოგჯერ მეტსახელად "ლიფტში წარმოსადგენ ფიჩს" უწოდებენ, რადგან მისი მიზანია მკაფიოდ და ლაკონურად გადასცეთ ინვესტორებს ინფორმაცია თქვენი ბიზნესის შესახებ იმ მოკლე დროში, რა დროც დაგჭირდებათ ლიფტში ხანმოკლე მგზავრობისას.

პიჩი უნდა იყოს დაახლოებით 30 წამი ან ნაკლები. წერილობით შეიძლება იყოს უფრო მოკლევ, 150 სიტყვა ან ნაკლები.

პიჩიმოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

თქვენი პროდუქტის ან მომსახურების აღწერა. დარწმუნდით, რომ შეიყვანეთ თქვენი კომპანიის სახელი.

- იმ პრობლემების ახსნა, რომლებსაც თქვენი პროდუქტი ან სერვისი აგვარებს, ან იმ მოთხოვნებს, რომლებსაც ის აკმაყოფილებს მომხმარებლებისთვის.


- ახსნა იმისა, თუ როგორ განსხვავდება თქვენი პროდუქტი ან მომსახურება.

- ჩამოაყალიბეთ მკაფიო მიზეზები, თუ რატომ უნდა იზრუნონ თქვენმა პოტენციურმა ინვესტორებმა და მომხმარებლებმა თქვენს ბიზნესზე.

გარდა ამისა, ფიჩმა უნდა განსაზღვროს პრობლემა, აღწეროს გადაწყვეტა, განსაზღვროს სამიზნე ბაზარი, განსაზღვროს მარკეტინგული და გაყიდვების სტრატეგია, აღწეროს კონკურენცია, წარმოაჩინოს ვინ არიან გუნდის წევრები, ის უნდა შეიცავდეს ფინანსურ ანალიზს და აჩვენოს ინვესტიციების და დაფინანსების შესაძლებლობები. (მაკკრიდი, 2021).


8.3. გამოყენება & მაგალითები

ქვემოთ შეგიძლიათ იხილოთ სტარტაპების სამი მაგალითი, სადაც ნახავთ ინფორმაციას, თუ როგორ განვითარდნენ და რა ტიპის დაფინანსება გამოიყენეს:




Source: Nesta Foundation (Blitterswijk, Haley & Febvre, 2019).





Source: Nesta Foundation (Blitterswijk, Haley & Febvre, 2019).





Source: Nesta Foundation (Blitterswijk, Haley & Febvre, 2019).

8.4. საუკეთესო პრაქტიკები & რისკები

რისკი არის რაღაცის დაკარგვის შანსი. ბიზნესის დაწყებისას მენარმეები დგანან რისკის წინაშე, რომ ბიზნესი შეიძლება არ იყოს წარმატებული.

ყოველდღიურად აკეთებთ სარისკო საქმეებს? ყოველდღე ადამიანები ატარებენ მანქანებს, დადიან ველოსიპეტით, ბანაობენ და ზაფხულის მზებზე დადიან არიან რა რისკის ქვეშ რომ მიიღონ ფიზიკური ზიანი. მაგრამ თითოეულ სცენარში ჩვენ ჩვეულებრივ ვაკეთებთ რაღაცას რისკის შესამცირებლად.






ჩვენ ვიყენებთ უსაფრთხოების ღვედებს ან ჩაფხუტებს, რათა თავიდან ავიცილოთ ზიანი ავარიების დროს, ასევე არის ფლოტაციის მონყოილობები და მზისგან დამცავი საშუალებები, რათა თავიდან ავიცილოთ რისკი სანაპიროზე. ბიზნეს გეგმა არის მენარმეების ინსტრუმენტი, რომელიც დაგეხმარებათ ბიზნესის დანყებისას შეამცროთ რისკი.

განსხვავებულად ფიქრი
ბიზნეს შესაძლებლობების იდენტიფიცირება პრაქტიკას მოითხოვს. ამისათვის მოდით ვიმუშაოთ იმისთვის, რომ თქვენი შემოქმედებითი აზროვნების ზოგიერთი კუნთი ფორმაში მოვიყვანოთ.

კრეატიული აზროვნება არის აზროვნების პროცესი, რომელიც გულისხმობს სიტუაციის ან ობიექტის სხვა თვალთ დანახვას. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უნარი სამენარმეო აზროვნების მქონე ადამიანისთვის - ყველა ბიზნესი კრეატიული იდეით.

დაფინანსება
კაპიტალის წილისგან განსხვავებით, ვალის დაფინანსება არ გულისხმობს აქციების გაცემას (თუმცა ზოგიერთი ფორმა მოითხოვს, რომ შესთავაზოთ აქტივები გადაუხდელობის შემთხვევაში). მისი უარყოფითი მხარეა, ვალის დაფინანსება შეიძლება მოჰყვეს კონკრეტულ პირობებს (მაგ. ბანკებმა შეიძლება ავიკრძალონ სხვა კომპანიების შეძენა სესხის დაფარვამდე) და დავალიანების დაფარვისთვის ხშირად გამოყენებულია ჯარიმები. ზოგიერთი დავალიანება, როგორცაა საკრედიტო ბარათები, შეიძლება იყოს მისი მიღება ადვილი, მაგრამ შედარებით ძვირია გრძელვადიან პერსპექტივაში.

მიუხედავად იმისა, რომ ფლობა და კონტროლი, როგორც წესი, ერთად ხდება, ამ საკითხების გამიჯვნა შესაძლებელია სხვადასხვა კლასის აქციების გამოშვებით. (მაგალითად, Google-ის დამფუძნებლებს, ლარი პეიჯს და სერგეი ბრინს აქვთ ნაკლები უფლება საკუთრებაზე, მაგრამ აქვთ ხმათა უმრავლესობა). ბევრი ფირმა გასცემს ორი ტიპის აქციებს, "ჩვეულებრივი" და "პრიორიტეტული", მოგვიანებით იღებენ შეღავათიან პირობებს, როგორცაა მაგ, მათ აქვთ პრიორიტეტი ჩვეულებრივ აქციონერებზე მეტად და მიიღებენ კომპენსაციას ლიკვიდაციის შემთხვევაში (იხ. განმარტებითი ლექსიკონი). ამიტომ ინვესტორები ხშირად მოითხოვენ რაიმე სახის პრივილეგიურ აქციებს და მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ გვესმოდეს რა იქნება ამის შედეგი - განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ კომპანია დაიშლება - მათთან პირობების მოლაპარაკებისას.



8.5. კითხვები & რეფლექსიები

ოდესმე გიფიქრიათ გქონდეთ საკუთარი ბიზნესი? როდესაც ჩვენ ვაპირებთ დავინწყით რეფლექსიის პროცესი იმ მიზნით, რომ გავარკვიოთ პოტენციური ბიზნეს იდეა ან გეგმა, ჩვენ შეიძლება ავლელდეთ ან შეგვეშინდეს.

• რომელია ის ასპექტები, რაც აღგაფრთოვანებთ?

• რა დადებითი ასპექტები აქვს საკუთარი ბიზნესის ქონას? კონკრეტულად რა იქნება დადებითი ფინანსური ასპექტები?

• რომელი ასპექტებია, რაც გაშინებთ?

• რა უარყოფითი ასპექტები აქვს საკუთარი ბიზნესის ქონას? კონკრეტულად რა იქნება უარყოფითი ფინანსური ასპექტები?

• დაასახელეთ რამდენიმე მხარდამჭერი ქმედება ყველა დაინტერესებული მხარის მიერ, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს და შეიძლება იყოს პროდუქტიული თქვენი სტარტაპის განვითარებისთვის?


გარდა ამისა, ხშირია მართობის ან ფინანსური ცოდნის ნაკლებობის განცდა სტარტაპის მთლიან პროცესში, განსაკუთრებით პირველ წლებში.

• შეეცადეთ დაასახელოთ თქვენი შიშები და ასევე ის მხარდამჭერი სისტემა და ქსელი, რომელსაც ფლობთ.

• ჩამოთვალეთ თუ გაქვთ ცოდნის ნაკლებობა, განსაკუთრებით ფინანსური ცოდნა, შეიძლება ფიქრობთ, რომ მოგიწევთ საკუთარი ბიზნესის წამოწყება.

ამ რეფლექსიით და რაც ისწავლეთ ამ გზამკვლევაში შეეცადეთ დაუკავშირდეთ სხვადასხვა ადამიანებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, რომლებმაც რეალურა დაიწყეს საკუთარი ბიზნესი.

შეიძლება იყოს ერთობლივი სამუშაო ადგილები სტარტაპებისთვის თქვენს ქალაქში, საჯარო დაწესებულებების განყოფილებები, რომლებიც მხარს უჭერენ დამწყებ ბიზნესს, ან კონკრეტული სოციალური ასოციაციები და ა.შ. მოახდინეთ მათი იდენტიფიცირება. მოძებნეთ შესაძლებლობები, რომ ისწავლოთ მათი გამოცდილებებიდან არაფორმალურ გარემოში, სადაც შეგიძლიათ დასკვათ კითხვა და გაუზიაროთ თქვენი მოსაზრებები.





9

რესურსები

9.1. რესურსები



Blank, S., & Dorf, B. (2012). *The startup owner's manual: The step-by-step guide for building a great company*. K & S Ranch, Inc. California.

Blitterswijk, D., Haley, C., & Febvre, J. (2019). *Paths to Scale: Finance Lessons from European Entrepreneurs*. <https://www.nesta.org.uk/report/paths-to-scale/>

Conway, E. (2013). *50 economics ideas you really need to know*. Quercus.

Foreman, D. (2022). *Best Budgeting Apps Of June 2022*. Retrieved 20 May 2022, from <https://www.forbes.com/advisor/banking/best-budgeting-apps/>

Helen Jks (2021) *Takeibo Budget Book: The Traditional Japanese budgeting method to save money and control your spending*

Kim, J. (2020). *Crowdfunding Best Practices: Create a great campaign in just 30 minutes*. Retrieved 20 May 2022, from

<https://101fundraising.org/2020/05/crowdfunding-best-practices-create-a-great-campaign-in-just-30-minutes/>

Kiyosaki, R. (2011). *Rich Dad poor Dad*. Plaza Publishing, LLC.

Mazzucato, M. (2018). *The value of everything: Making and taking in the global economy*. Hachette UK.

McCready, R. (2021). *Best Pitch Deck Examples from Famous Startups - Venngage*. Retrieved 10 May 2022, from <https://venngage.com/blog/best-pitch-decks/>

Osterwalder, A. (2005). *The Canvas Business Model*. Retrieved 16 May 2022, from <https://www.businessmodelsinc.com/wp-content/uploads/2019/12/BMI%E2%80%A2Business-model-canvas.pdf>

Ries, E. (2011). *The lean startup: How today's entrepreneurs use continuous innovation to create radically successful businesses*. Currency.

Tyson, E. (2021). *Personal Finance in Your 20s & 30s. For Dummies*. John Wiley & Sons.

Varoufakis, Y. (2017). *Talking to my daughter about the economy: A brief history of capitalism*. Random House.

What is cryptocurrency and how does it work? (2022).

Retrieved 20 June 2022, from <https://www.kaspersky.com/resource-center/definitions/what-is-cryptocurrency>



9.2. საინტერესო ვებ-გვერდები

ფინანსური გაძლიერების ინსტრუმენტები

<https://youth.gov/feature-article/financial-empower-ment-toolkit-0>

<https://www.acf.hhs.gov/cb/grant-funding/financial-empowerment-toolkit>

ფინანსური წიგნიერების გზამკვლევი

<https://www.investopedia.com/guide-to-financial-literacy-4800530>

ახალგაზრდა ქალების ეკონომიკური გაძლიერება და უნარების განვითარება

<https://www.unwomen.org/en/what-we-do/youth/economic-empowerment-and-skills-development-for-young-women>

ევროკომისია / ფინანსური წიგნიერება

https://ec.europa.eu/info/business-economy-euro/banking-and-finance/consumer-finance-and-payments/financial-literacy_en

სტარტაპ ევროპის პარტნიორობა

<https://startupeuropepartnership.eu/>





10

ANEXE 1:

დანართი 1: ძირითადი
ფინანსური ლექსიკონი

10. A basic financial dictionary

აქტივი: ქონებისნივით, რომელსაც აქვს ღირებულება ვალების დასაფარად.

ობლიგაცია: ობლიგაცია წარმოადგენს მსესხებლის დაპირებას, რომ გადაუხადოს კრედიტორს მათი ძირითადი თანხა და, როგორც წესი, სესხის პროცენტი. ობლიგაციებს გამოსცემენ მთავრობები, მუნიციპალიტეტები და კორპორაციები.

საბროკერო ანგარიში: საბროკერო ანგარიში არის საინვესტიციო ანგარიში, რომელიც საშუალებას გაძლევთ შეიძინოთ და გაყიდოთ სხვადასხვა ინვესტიციები, როგორცაა აქციები, ობლიგაციები, ურთიერთდახმარების ფონდები და გაცვლითი სავაჭრო ფონდები (ETF).

რთული პროცენტი: რთული პროცენტი არის თქვენი საწყისი დანაზოგიდან მიღებული პროცენტი, დამატებული თქვენ მიერ მიღებული წინა პროცენტი.

ამხანაგობის საკომისიო: ამხანაგობის საფასური, რომელიც ასევე ცნობილია როგორც მესაკუთრეთა ასოციაციის (HOA) მოსაკრებელი, არის ის თანხა, რომელსაც ადგენენ ამხანაგობის წარმომადგენლები ყოველთვიურად საერთო ქონების, კეთილმოწყობის, მოვლისა და კომუნალური ხარჯებისთვის.

საკრედიტო ხაზი: საკრედიტო ხაზი არის მოქნილი სესხის ვარიანტი, რომელსაც ფინანსური ინსტიტუტები სთავაზობენ თავიანთ კლიენტებს საკრედიტო ლიმიტით.

ვალის კონსოლიდაცია: ვალის კონსოლიდაცია გულისხმობს ახალი სესხის აღებას სხვა ვალდებულებებისა და სამომხმარებლო ვალების დასაფარად.

დეფლაცია: ეკონომიკაში ფასების ზოგადი დონის შემცირება.

დერივატივი: დერივატივი არის ხელშეკრულება, რომელიც იდება ორ ან მეტ მხარეს შორის და რომელთა ღირებულება ეფუძნება შეთანხმებულ ძირითად ფინანსურ აქტივს, ინდექსს ან ფასიან ქალაქს. ფიუჩერული კონტრაქტები, ფორვარდული კონტრაქტები, ოფციები, სვოპები და გარანტიები ჩვეულებრივ გამოიყენება როგორც დერივატივი.

ფონდი: ფონდი არის ინვესტიცია, რომელიც საშუალებას აძლევს უამრავ ადამიანს გააერთიანონ ფული. ფონდის მენეჯერი (ინვესტიციის სპეციალისტი) ფულს იყენებს ინვესტიციების შესაძენად. ეს შეიძლება იყოს მხოლოდ აქციები, ან შეიძლება იყოს სხვა სახის აქტივები, როგორცაა ობლიგაციები ან ქონება.

ფიუჩერსი: ფიუჩერსი არის ფინანსური დერივატივი, რომელშიც ერთი მხარე ეთანხმება მეორე მხარეს მომავალში კონკრეტულ პერიოდში იყიდოს ან გაყიდოს აქტივი წინასწარ განსაზღვრულ ფასად. როგორც ფიზიკური საქონელი, ასევე ფინანსური ინსტრუმენტები, როგორცაა აქციები და ობლიგაციები, ვაჭრობენ ფიუჩერული კონტრაქტებით.

მთლიანი შედეგი: მთლიანი მოგება არის მოგება, რომელსაც კომპანია იღებს მისი პროდუქციის დამზადებისა და გაყიდვის ხარჯების ან მისი მომსახურების მიწოდების ხარჯების გამოკლების შემდეგ.

ინფლაცია: ფასების ზოგადი ზრდა და ფულის შესყიდვის ღირებულების დაცემა.

ლევერიჯი: ლევერიჯი არის ვალის (ნასესხები კაპიტალის) გამოყენება ინვესტიციის ან პროექტის განსახორციელებლად. პოზიტიური ლევერიჯი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ბიზნესი ან ინდივიდი სესხულობს თანხას და შემდეგ ინვესტირებას ახორციელებს უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთით, ვიდრე ის ისესხებს.

ვალდებულება: ვალდებულება არის ის, რაც ადამიანს ან კომპანიას ეკისრება, როგორც წესი, თანხა.

სესხი: სესხი არის ბანკიდან ნასესხები თანხა. ამით მსესხებელს ეკისრება დავალიანება, რომელიც უნდა დაფაროს პროცენტით და განსაზღვრულ ვადაში.

იპოთეკა: იპოთეკარის ფული, რომელსაც ისესხებთ სახლის შესაძენად. თქვენ იხდით პროცენტს იმაზე, რასაც სესხულობთ.

წმინდა შედეგი: წმინდა მოგება არის მოგება, რომელსაც კომპანია იღებს ხარჯების და გადასახადების გამოკლების შემდეგ. აქედან გამომდინარე, წმინდა მოგება არის მთლიანი მოგება საოპერაციო ხარჯებისა და გადასახადების გამოკლებით.

წილები: კომპანიის აქციების ან წილის ერთეული.

აქცია: აქცია (ასევე ცნობილი როგორც კაპიტალის წილი) არის ფასიანი ქალაქი, რომელიც წარმოადგენს კორპორაციის საკუთრებას. ეს აძლევს უფლებას აქციების მფლობელს მიიღოს კორპორაციის აქტივები და მოგება იმის პროპორციულად, თუ რამდენ აქციას ფლობს საკუთრებაში.





PARTNERS:

